# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 16 ივლისი 2003 №130 (1901) ფასი 50 თეთრი




# მოუგე ტირანას დი-ნა-მო!



დიდ საფეხბურთო ევროპაში ჯერ მზეს ეფიცხებიან და ფეხბურთზე ნაკლებად ფიქრობენ, ჩვენთვის კი დღეს დიდი ფეხბურთი იწყება — თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგისკენ გზის გაკვლევას იწყებს. ჯერ ალბანური „ტირანაა" და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

ზოგადად, ფეხბურთელები და მწვრთნელები არ ამბობენ, ისეთი მეტოქე გვყავს, იოლად დავჯაბნით ან იოლად დაგვჯაბნისო — ამის თქმა არაპროფესიონალიზმი იქნება, რაკი ფეხბურთი დემოკრატიული თამაშია და ხშირად სუსტებიც ამარცხებენ ძლიერებს, მაგრამ ჩვენ, რაკილა დინამოელთა შესაძლებლობები და განწყობა ვიცით და გუშინ ალბანელთა თბილისური ვარჯიშიც ვნახეთ, სწორედ ობიექტურად, ყოველგვარი გულშემატკივრული ემოციების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ: „დინამომ" „ტირანა" უნდა დაამარცხოს.

რა გუნდია „ტირანა"? ვარჯიშისას კარში ისერა ურტყამდნენ, პასებიც ჰა და ჰა და სილარიბის თუ სხვა რამის გამო, გვარიანად გახუნებული მაისურები ეცვათ. ერთადერთი, რაც მართლა კარგად სცოდნიათ, ხარხარი იყო, მთელი ვარჯიშის განმავლობაში რომ არ შეუწყვეტიათ. სიცილ-კისკისით კი საქმე არ უნდა გამოუვიდეთ.

„დინამოს" გუშინდელ ვარჯიშზე კი სრულიად საპირისპირო განწყობა სუფევდა.

ამიტომ ვიმეორებთ: „დინამომ" „ტირანა" უნდა დაამარცხოს, თუნდაც ცარიელ სტადიონზე. დანარჩენზე კი მერე ვილაპარაკოთ.

ისე, ალბანელთა ეგვიპტელ პრეზიდენტს, ქართულ ფეხბურთზე კი არა, საქართველოზეც რომ არაფერი სმენია, რაც უფრო უხასიათოდ გავისტუმრებთ, მით უკეთესი ჩვენთვის.

# ჩემპიონთა ლიგა 2003–2004 პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

თბილისი. ეროვნული. 16 ივლისი. 20 საათი

## დინამო — ტირანა

# ქართველებმა ალბანელებს ბურთი დაუმალეს
## ამათ მაინც რა აცინებთ?!



**თბილისის „დინამოს“** დღევანდელი მეტოქე „ტირანა“ გუშინ ჩარტერული რეისით დაგეგმილზე ორი საათით გვიან ჩამოფრინდა. შესაბამისად, „ეროვნულზე“ მათი ვარჯიშის დაწყების დრომაც გადაიწია, რვის ნაცვლად ალბანელები სტადიონს ცხრა საათისთვის, 18 ფეხბურთელით მოადგნენ. სტუმრებმა 10-15 წუთი გასახდელთან მუსაიფს მოანდომეს, მწვრთნელმა სულეიმან მემამ „ეროვნულის“ გაზონზე გაიარ-გამოიარა და შეგირდებს მოედანზე მერელა უხმო. მწვრთნელი აგრილებას თუ ელოდა, თუმც მზე რომ ჩადიოდა, ჰაერი უფრო იხუთებოდა.

დაღლილ-დაქანცულობისა სტუმრებს არაფერი ეტყობოდათ, ლაღობდნენ და თავს იქცევდნენ, მწვრთნელის მითითებებს კი ბეჯითად და უსიტყვოდ ასრულებდნენ. ბარემ, მთავარი სათქმელიც აქვე ვთქვათ: დიდი ვერაფერი გუნდი ჩანს ეგ ჩვენი მეტოქე. არც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 1998 წელს დამმარცხებელი სულეიმან მემას ვარჯიშები ყოფილა დიდა, რა ვნახე. იყო მოთელვა და კვადრატი, ორი კარი და „კედლის“ გათამაშება, რაც ფეხბურთელისთვის ორჯერ-ორივით მარტივი საქმეა. არც კარში ხეირიანად დარტყმები გამოსდიოდათ ტირანელებს და ხშირად პასებსაც უზუსტოდ აწვდიდნენ. სამაგიეროდ, კაი ხარხარი კი სცოდნიათ სტუმრებს: ალბანელის დარტყმული კარს რომ ასცდა, ბურთი ტრიბუნაზე მყოფმა ბიჭუნამ იხელთა და მოკურცხლა. ახალთახალი „იაკოს“ ბურთი იყო, „დინამომ“ რომ „ტირანას“ სავარჯიშოდ დაახვედრა. ბურთს ვინ ჩივის, თბილისელებს ეს არ უჭირთ, ალბანელთა ქცევა იყო გამაღიზიანებელი, სიცილით ლამის რომ გაიგუდნენ და საათნახევარი აღარ გაჩერებულან. დაკარგულ ბურთზე ლადავს იქნებ ის უჯობთ, თავიანთ გაცრეცილ, ლანდგასულ ეკიპირებას მიხედონ, რითაც გუშინ ივარჯიშეს.

სულეიმან მემამ ვარჯიში თერთმეტის ნახევარზე დაამთავრა, მერე შეგირდები ფეხშიშველი არბენინა, თავად კი ფოტოაპარატი მოიმარჯვა და კლუბის თანამშრომლებს ჩაუჩხაკუნა, ფოკუსის გასწორებით რომ დაიღალა, აპარატი განზე მდგარ ფეხბურთელს მიაწოდა და „ეროვნულის“ ტრიბუნების ფონზე თავად დაიწყო პოზიორობა...

როგორც „დინამოს“ პრესსამსახურმა გვაცნობა, დღევანდელ მატჩს 8 ალბანელი ჟურნალისტი დაესწრება. მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს კი ტელეკომპანია „იმედი“ გეგმავს.

**კობა ინასარიძე**

# პრეზიდენტ აბდელრაჰმანის ნაპერწკლები

*ალბანური „ტირანას“ პრეზიდენტი ეგვიპტელი ბიზნესმენი აბდელრაჰმან ალ საიდი გახლავთ — ერთი წელია, რაც „ტირანას“ პატრონობს. პრეზიდენტი სტადიონზე თავისი გუნდის ვარჯიშზეც მოვიდა და როცა ტრიბუნაზე თანაშემწესთან ერთად მოკალათდა, არც „სარბიელთან“ ინტერვიუზე უთქვამს უარი — მითუმეტეს, გაბრაზებული ყოფილა...*



**— საქართველოზე და ქართულ ფეხბურთზე რამე გსმენიათ?**

— აქ პირველად ვარ და თქვენი ქვეყნის და ფეხბურთის შესახებ არაფერი მსმენია.

**— რამდენიმე საათის წინ ჩამოხვედით და როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებები?**

— ძალიან ცუდი.

**— რატომ? აეროპორტის საბაჟოზე შეგექმნათ პრობლემები?**

— აეროპორტში მართლაც კარგა ხანს შეგვაყოვნეს, მაგრამ მთავარი ეგ არ არის. მე „ტირანას“ პრეზიდენტი ვარ და „დინამოს“ ხელმძღვანელობიდან აეროპორტში არავინ დამხვედრია — ქართული კლუბის წარმომადგენელს არ შევხვედრივარ. არც მანქანა დამახვედრეს.

**— რით წამოხვედით აეროპორტიდან?**

— ტაქსით და ახლაც არ ვიცი, როდის შევხვდები „დინამოს“ წარმომადგენელს. მე ჯერ აქ ვარ და ვიცდი.

**— როცა „დინამო“ ტირანაში ჩამოვა, როგორ დახვდებით?**

— მე პატივს ვცემ „დინამოს“ და სათანადო პროტოკოლს — დადგენილი ნორმები უნდა დავიცვა.

**— თქვენს გუნდზე რას გვეტყოდით?**

— ვფიქრობ, კარგი გუნდი გვყავს. „ტირანა“ ალბანეთში ძალიან უყვართ და კლუბში ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ ყველა ალბანელ ფეხბურთელს „ტირანაში“ უნდა თამაში. „ტირანაში“ მოსვლის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელი შევიძინე, უმეტესწილად ალბანელები, რადგან ვფიქრობ, ეს სწორი მიმართულებაა. ახლა უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროფესიული გუნდი გვყავს და არა სამოყვარულო.

**— თქვენი სამომავლო გეგმები როგორია? „ტირანა“ ალბანეთის ჩემპიონი კია, მაგრამ ევროპულ დონეზე რას უნდა გასწვდეს?**

— წინასწარ არაფრის თქმა არ მიყვარს. ისე კი, „ტირანას“ წინსვლისთვის ბევრ რამეს ვაკეთებ. სულეიმან მემა მე მოვიყვანე „ტირანაში“ — ის საუკეთესო ალბანელი მწვრთნელია.

**— „დინამო“ შინ ცარიელი ტრიბუნებით გეთამაშებათ და თქვენ გუნდს გარკვეულ უპირატესობა შეექმნა...**

— ამაში ვერ დაგეთანხმებით. „დინამო“ ნორმალური გუნდი უნდა იყოს და თავის ძალას ისედაც წარმოაჩენს. რა თქმა უნდა, თქვენ გულშემატკივრებს ამ მატჩზე დასწრება სურთ, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება მე ხომ არ მიმიღია. თუმც შესაძლოა, ამ ფაქტორმა ჩვენს სასარგებლოდ იმოქმედოს.

**— როგორ ფიქრობთ, „ტირანა“ — „დინამოს“ მატჩს რამდენი მაყურებელი დაესწრება?**

— თუ თბილისური მატჩი ჩვენთვის კარგი შედეგით დასრულდა, ტირანაში სტადიონი გაივსება — ოცი ათასი კაცი მოვა.

**— კარგ შედეგში რას გულისხმობთ?**

— კარგი შედეგისთვის არაა აუცილებელი, რომ თბილისში მოვიგოთ.

**— მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— როგორ გითხრათ, ჩემს გუნდზე მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესოს ვფიქრობ. „ტირანაში“ მთელი ჩემი ძალა და გულია ჩადებული. შედეგი კი ისეთი იქნება, როგორსაც ღმერთი ინებებს.

**— თქვენ ღრმადმორწმუნე ხართ?**

— რა თქმა უნდა, მე მუსლიმი ვარ და ყველა მუსლიმი მორწმუნეა.

**დავით თამართქილაძე**

*„ტირანას“ პრეზიდენტის გულმოსულობის შესახებ წუხელ „დინამოს“ მმართველ დირექტორ* ***დავით პეტრიაშვილს*** *დავეკითხეთ.*

*— ახლახან ოფიციალური ვახშამი გვქონდა სტუმრებთან და „ტირანას“ პრეზიდენტი სულ სხვა განწყობაზე გახლდათ. თუ რამ გაუგებრობა მოხდა, ეს მთლიანად „ტირანას“ მენეჯერების ბრალია, რაც მათ მოითხოვეს, ყველაფერი შევუსრულეთ. ეს პროფესიონალური კლუბების ტურნირია და ამ კლუბებმა ყოველივე სათანადო დონეზე უნდა გააკეთონ.*

# ძველი კომპლიმენტი და 50/50
## თქვენ ხომ ბრაზილიელებს გეძახდნენ

*სულეიმან მემა, „ტირანას“ მთავარი მწვრთნელი:*



— ქართველ ფეხბურთელებს საბჭოთა ბრაზილიელებს ეძახდნენ. თქვენი ფეხბურთელები ყოველთვის გამოირჩეოდნენ კარგი ტექნიკით. „ტირანას“ კი თავისი ისტორია და ხელწერა აქვს. რაც შეეხება „დინამოსა“ და „ტირანას“ დაპირისპირებას, ვფიქრობ, შანსები თანაბარია.

# საქართველო და ალბანეთი რამ გაყო...
## თქვენ ჩვენთან გამოჩნდებით

*ნავარჯიშევს გამოველაპარაკეთ „ტირანას“ კაპიტან ნევილ დედეს, რომელიც ალბანეთის ეროვნული ნაკრების მცველიცაა*



— ძალიან ძნელი მატჩი გველის. შანსებს 50/50-ზე ვაფასებ. ალბანური და ქართული ფეხბურთი, ჩემი აზრით, თანაბარი დონის არიან. ვფიქრობ, მომდევნო ეტაპზე გამსვლელი მხოლოდ საპასუხო მატჩის შემდეგ გაირკვევა.

**— „დინამოს“ შესახებ რა იცით?**

— საქართველოს ჩემპიონს ძალიან დიდ პატივს ვცემ, თუმც კონკრეტულ მოთამაშეებს არ ვიცნობ.

**— ირლანდია — საქართველოს ამასწინდელ მატჩში ხუთმა დინამოელმა ითამაშა...**

— მათ გვარებს ვერ დაგისახელებთ. მე კი ირლანდიაში ტრავმის გამო ვერ ვითამაშე.

**— თბილისურ მატჩს გულშემატკივრები რომ ვერ დაესწრებიან, ამაზე რას იტყოდით?**

— ფეხბურთი გულშემატკივრებისთვისაა და საწყენია, რომ ამ მატჩს ხალხი ვერ დაესწრება. ისე, კი, გულშემატკივრების ჩვენ არ გვეშინია. მათი არყოფნა იმაში თუ შეგვიწყობს ხელს, რომ მინდორზე თანაგუნდელები ერთმანეთის ყველა შეძახილს კარგად გავიგებთ.

**დავით თამართქილაძე**

*თბილისის „დინამოს" მესვეურებმა გუშინ კლუბის ახალ პარტნიორთან ერთად პრესკონფერენცია მოაწყვეს. დინამოელთა სპონსორი „ბორჯომი" რომ გახდა, გუშინდელ „სარბიელში" გაუწყეთ. მოკლედ, „დინამომ" „ბორჯომის" ერთ-ერთ ჩამომსხმელთან „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიასთან" დადო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი პრესკონფერენციაზე მოეწერა ორივე მხრიდან. ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით კომპანიის ვიცე-პრეზიდენტის ბადრი ჯაფარიძის მენტორულ ტონს და ლექციას ხელშეკრულებათა ფინანსური დეტალების გახმაურება-არგახმაურების თემაზე*

# დინამოს გაზი მოემატა

## ბორჯომიანი დინამო ალბათ მუშტაიდშიც შეიჭრება




**თუმც დღეს** „დინამო — ტირანაა" და მთავარი ამბავი ჩვენთვის ესაა. პრესკონფერენციის მეორე ნაწილი ამ მატჩის საორგანიზაციო საკითხს მიეძღვნა — „დინამო" — „ლიბერეცის" შარშანდელ მატჩზე მაყურებელთა მიერ მოედანზე სხვადასხვა ნივთების სროლის გამო დღეს „დინამო" უქომაგოდ ეთამაშება „ტირანას", თუ არ ჩავთვლით სამოცამდე ქართველ ჟურნალისტს, სტადიონის მომსახურე პერსონალს, კლუბის წარმომადგენლებს და პოლიციას.

პრესკონფერენციაზე კი დინამოს მმართველ დირექტორ დავით პეტრიაშვილს, მარკეტინგის დირექტორ ნიკა კობალავას, უსაფრთხოების ოფიცერ გია ისიანსა და „ბორჯომის" წარმომადგენელ ბადრი ჯაფარიძეს ველაპარაკეთ.

*კობალავა:* „დინამო" საქართველოში საუკეთესო კლუბია და ჩვენი სპონსორობის მსურველ რამდენიმე კომპანიისგან გვქონდა წინადადება — საუკეთესო კლუბს კი საუკეთესო სპონსორი უნდა ჰყავდეს და ასეც მოხდა.

*პეტრიაშვილი:* ჩემპიონთა ლიგის კამპანიას „ბორჯომთან" გარიგებით ვიწყებთ, რაც „დინამოსთვის" დამატებითი სტიმული იქნება.

*ჯაფარიძე:* ძალიან მნიშვნელოვანი დღეა — „ბორჯომი" და „დინამო" წარმატების სიმბოლოებია და ჩვენი თანამშრომლობა მომავალი გამარჯვებების საწინდარი უნდა იყოს. ჩვენი კომპანია საკმაოდ მნიშვნელოვან ინვესტიციებს გაიღებს.

*პეტრიაშვილი:* „ბორჯომი" უკვე „დინამო"—„ტირანას" მატჩზე ეწერებათ მაისურზე დინამოელებს. ყოველივე უეფას ნორმების გათვალისწინებით მოხდება.

*ჯაფარიძე:* გარიგების თანხას არ დავაზუსტებ.

*პეტრიაშვილი:* ამ ხელშეკრულებაში თანხა იმდენად საინტერესო არაა, რამდენადაც ის ფაქტი, რომ საქართველოში ასეთი ტიპის გარიგება უკვე არსებობს.

*ჯაფარიძე:* თუ „დინამო" წარმატებით გამოვა სხვადასხვა ტურნირებზე, ჩვენს კომპანიას შეუძლია ინვესტიციებისთვის დამატებითი რესურსებიც გამონახოს.

*პეტრიაშვილი:* რაც შეეხება „დინამო"—„ტირანას" მატჩს, ძალიან კარგად გვესმის, რომ „დინამოს" უამრავი გულშემატკივარი ჰყავს და ყველას სურს თამაშზე მოსვლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია. ორივე კლუბიდან 75-75 კაცი იქნება სტადიონზე და ისინი ვიპ-ლოჟაში მოთავსდებიან. თამაშს დაესწრებიან სტადიონის მომსახურე პერსონალი, ჟურნალისტები და პოლიციელები. თხოვნით მივმართავ გულშემატკივრებს — ნუ შეეცდებიან სტადიონზე შემოსვლას, მათ ამის არანაირი შანსი არ ექნებათ. მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ტელეკომპანია „იმედი" გადასცემს. გვსურს, მუშტაიდის პარკში დიდი ეკრანი დავამონტაჟოთ, რათა გულშემატკივრებმა ასეც შეძლონ თამაშის პირდაპირი ეთერით ნახვა, მაგრამ ეს ჯერ არ არის გადაწყვეტილი — ტექნიკური საკითხებია შესათანხმებელი.

*ისიანი:* თბილისის პოლიციის სამმართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უფროსი მიხეილ სალაძე საქმის კურსშია, მატჩზე 1200-1500 პოლიციელი იქნება. სტადიონი დილის 10 საათზე დაიკეტება, საღამოს ექვს საათზე გაიღება და იქ მხოლოდ ის ხალხი შევა, ვისაც სპეციალური საშვი და პირადობის მოწმობა ექნება.

*პეტრიაშვილი:* ჟურნალისტებს გთხოვთ, გვერდში დაგვიდგეთ და გულშემატკივრებამდე მიიტანოთ ყოველივე — ამან საქართველო —რუსეთის მატჩზე დადებითად იმოქმედა ირლანდიასთან თბილისურ თამაშზე მომხდარი ექსცესების შემდეგ. თუ მატჩი ნორმალურად ჩატარდება და როცა „ტირანას" ბარიერს გადავლახავთ, „გრაცერთან" უკვე ყველაფერი რიგზე იქნება.

**დავით თაგართქილაძე**



**ბადრი ჯაფარიძე და დავით პეტრიაშვილი: „ბორჯომმა" და „დინამომ" ხელი ხელს დაჰკრეს**



*გუშინ მიხეილ აშვეთია „ლოკომოტივში" თავის სადებიუტო მატჩში გოლით გამოირჩა. პრემიერლიგის მე-17 ტურის „ლოკომოტივ" – ცსკას (1:3) შეხვედრის 75-ე წუთზე ქართველმა თავდამსხმელმა დმიტრი ლოსკოვის პასით იხეირა. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ეს აშვეთიას პირველი გოლია ამ სეზონში. ბომბარდირული თვისებებით გამორჩეულ ჩვენებურს მანამდე მეტად მშრალი პირველი წრე ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიაში" გამოუვიდა.*

*წუხელ კი აშვეთიამ ნავსი გატეხა და კიდევ ერთხელ დაარწმუნა რკინიგზული კლუბის თავკაცები, რომ მასში გადახდილი ფული წყალს არ წაუღია.*

*ნამატჩევს მიხეილ აშვეთიამ „სარბიელის" კითხვებსაც უპასუხა*

# აშვეთია თავის ანუ გოლის ადგილზე

## აქედან გოლის გატანა თუ შეიძლებოდა, დღეს გავიგე

**— კარგი დებიუტი გამოგივიდა...**

— რა გითხრათ, წაგებით ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. ასე რომ არ მომხდარიყო, დებიუტზე უფრო მხიარულად ვილაპარაკებდი.

**— ეგ ჰო, მაგრამ ჯერ თავო და თავოო...**

— რა თქმა უნდა, გოლით ძალიან გავიხარე. კარგია, რომ ჩემი შესაძლებლობების დამტკიცების შანსი გამოვიყენე. ცხადია მომავალშიც ასე უნდა გავაგრძელო.

**— ცსკა რუსული პრემიერლიგის ლიდერია, მაგრამ ნუთუ ამხელა განსხვავებაა არმიელებსა და „ლოკომოტივს" შორის?**

— ასეც არაა. ვერ ვიტყვი, რომ ცსკა-მ დაგვჩაგრა. საინტერესო, დაძაბული და თანაბარი თამაში იყო. უბრალოდ, მეტოქემ ჩვენი შეცდომები გამოიყენა. თან ძალიან უაზრო გოლები გავუშვით, მცველებმა აშკარად დაგვალალატეს.

**— შენს გოლზე რას იტყვი?**

— ახლაც არ ვიცი, როგორ გავიტანე. ლოსკოვმა პირისპირ გამიყვანა, მაგრამ კარს ძალიან მახვილი კუთხით მივუახლოვდი, მეკარეც გამოვიდა და... იმ კუთხიდან თუ გოლის გატანა შეიძლებოდა, დღეს გავიგე. მართლა ძალიან ლამაზი სანახავი იყო.

**— ორ წუთში კი შეგცვალეს. რატომ?**

— თავად მოვითხოვე. გოლის დროს კოჭი გადამიბრუნდა და ველარ გავძელი — ახლაც ძალიან მტკივა.

**— რაიმე სერიოზულია?**

— ეგ ზუსტად ხვალ მეცოდინება. ახლა ყინული მადევს.

**— „სპარტაკ-ალანიაში" პირველი წრე უგოლოდ ჩაამთავრე. „ლოკომოტივში" კი პირველივე მატჩში გაიტანე...**

— ეს გასაკვირი არ არის. „სპარტაკ-ალანიაში" ჩემს ადგილზე არავინ მათამაშებდა, ნახევარმცველი ვიყავი და ამიტომაც ვითამაშე ასე უშედეგოდ. აქ კი ძველებურად ცენტრალური თავდამსხმელი ვარ. ეს ადგილი ჩემია.

**— გუნდში ახალი მისული ხარ, მაგრამ, როგორ ფიქრობ, ვინ არის შენი უმთავრესი კონკურენტი?**

— ამ ეტაპზე ასეთს ვერავის ვხედავ.

**— რატომ? კოსტარიკელი უინსტონ პარკსი?**

— ის მოსკოვში არაა. როგორც ვიცი, ნაკრებშია გამოძახებული. მე კი, სანამ პარკსი ჩამოვა, მანამდე უნდა დავამტკიცო, რომ მას ვჯობივარ.

**— თამაშის შემდეგ იური სიომინს ხომ არ ელაპარაკე?**

— ძალიან გაბრაზებული იყო, მაგრამ დებიუტი მაინც მომილოცა, კმაყოფილი ვარო.

**— ცსკა-თან სხვა ანგარიშებიც გქონდა...**

— ამ კლუბში ჩემი ტრანსფერი რომ ვერ შედგა, ამაზე მეკითხები? მართლა გაბრაზებული ვიყავი. ზუსტი მიზეზი დღესაც არ ვიცი, ამიტომ ისე ვითამაშე, როგორც შემეძლო. ვფიქრობ, თავი არ შემირცხვენია.

**კახა ზალამბერიძე**

### რუსეთი

**პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**

**ლოკომოტივი 1:3 ცსკა**

0:1 იანოვსკი (19), 0:2 პოპოვი (24), 0:3 გუსევი (63პ), 1:3 **აშვეთია** (76)

**ლოკომოტივი:** ს. ი. ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, პაშინინი, სენიკოვი, დროზდოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი, მამინოვი, ბუზნიკინი (ს. ბ. ოვჩინიკოვი 61), იზმაილოვი, **აშვეთია** (სირხაევი 77)

**ცსკა:** აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, ევსიკოვი (სოლომატინი 54), შემბერასი, შერშუნი, იაროშიკი, რახიმიჩი, იანოვსკი (ლაიზანსი 71), გუსევი, პოპოვი (კირიჩენკო 85)

15 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 17 | 11 | 4 | 2 | 33:19 | 37 |
| დინამო | 16 | 8 | 4 | 4 | 29:17 | 28 |
| სატურნი | 16 | 7 | 6 | 3 | 22:14 | 27 |
| შინიკი | 16 | 6 | 8 | 2 | 22:14 | 26 |
| ზენიტი | 16 | 7 | 4 | 5 | 20:20 | 25 |
| კრილია | 16 | 6 | 6 | 4 | 22:15 | 24 |
| რუბინი | 16 | 6 | 6 | 4 | 22:15 | 24 |
| როსტოვი | 16 | 6 | 6 | 4 | 19:23 | 24 |
| ლოკომოტივი | 17 | 6 | 4 | 7 | 22:24 | 22 |
| ტორპედო | 16 | 5 | 5 | 6 | 18:20 | 20 |
| სპარტაკი | 16 | 5 | 4 | 7 | 21:24 | 19 |
| ჩერნომორეცი | 16 | 4 | 6 | 6 | 19:22 | 18 |
| როტორი | 16 | 4 | 4 | 8 | 19:24 | 16 |
| ურალანი | 16 | 3 | 6 | 7 | 10:21 | 15 |
| ალანია | 16 | 4 | 0 | 12 | 9:29 | 12 |
| ტ. მეტალურგი | 16 | 2 | 5 | 9 | 12:18 | 11 |

# თავისუფალია!

## გუჩუა ქუთაისიდან, რუსია რკინიგზიდან, ბათიაშვილი ბოლნისიდან

**ქართულ ფეხბურთში** არსებულ საკონტრაქტო სისტემას ვერაფრით ვუწოდებთ დახვეწილს. კლუბსა და ფეხბურთელებს შორის გაჩაღებული დავა-კამათის შემყურენიც ხშირად ვყოფილვართ და სატრანსფერო ციებ-ცხელებაში უსამართლოდ დაჩაგრული კლუბიც გვახსოვს და ფეხბურთელიც.

ზოგჯერ კლუბი ტყუის, სასურველ მოთამაშეს იმდენს შეჰპირდება, რისი გადახდის თავიც არა აქვს და პრობლემაც აქედან იწყება. ზოგჯერ კი ფეხბურთელი ხელშეკრულებას ხელს ისე აწერს, არც კი იცის, შიგ რა წერია. ჰოდა ფედერაციასთან ატუზული ისეთი არაერთი მოთამაშე გვინახავს, რომელიც შველას ითხოვდა.

ფედერაცია კი, რომელიც ვალდებულია, საკონტრაქტო თუ სატრანსფერო წესრიგს თვალი ადევნოს, ზოგადსაფეხბურთო წეს-კანონით ჭრის და კერავს. საბოლოოდ, ხან კლუბი რჩება წაგებული, ხანაც ფეხბურთელი.

ფეხბურთელის სტატუსისა და ტრანსფერის კომისიაც დროდადრო იკრიბება ხოლმე, მომჩივანთა განცხადებებთან ერთად წინ ზემოთ ნახსენებ გაუმართავ კონტრაქტებს დაიდებს, სადაც, რა თქმა უნდა, თანხებთან დაკავშირებული ბევრი რამ ძნელად გასარკვევია და იწყება მარჩიელობა, ვის რამდენი ეკუთვნის და ვის მხარესაა სამართალი.

ფეხბურთელის სტატუსისა და ტრანსფერის კომისიის გუშინდელ სხდომაზე სამი სადავო საკითხი გაირჩა, სამივეში დავა კლუბმა წააგო და მომჩივან ფეხბურთელებს თავისუფლება ებოძათ.

საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ვალტერ გუჩუა ყოფილ ჩემპიონ „ტორპედოს" უჩიოდა, კლუბს გასული სექტემბრიდან მოყოლებული ჩემთვის ჯამაგირი არ მოუცია, ან კუთვნილის მიღებაში დამეხმარეთ, ანაც კლუბიდან გამათავისუფლეთო.

კონტრარგუმენტი რიონისპირელებსაც ჰქონდათ, რა ხანია, გუჩუა ქუთაისში არ გამოჩენილაო, მაგრამ კომისიის სხდომას რაიმე ხელჩასაჭიდი სხვა საბუთიც ველარ წარუდგინეს. გადაწყვეტილებაც თავიდანვე თითქმის ცნობილი იყო, „ტორპედოსა" და გუჩუას შორის არსებული ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი. ფეხბურთელი განთავისუფლდა და ახლა თამამად შეუძლია, ახალ კლუბთან გააფორმოს ხელშეკრულება. სადღეისოდ გუჩუა ბოლნისის „სიონთან" ერთად ლაგოდეხურ შეკრებაზე ემზადება და, ალბათ, მეთხუთმეტე ჩემპიონატშიც თემურ მახარაძის გუნდში იქნება.

გუჩუას საკითხს რომ მორჩნენ, დედაქალაქური „ლოკომოტივის" და მამუკა რუსიას დავის გარჩევა დაიწყო. ფეხბურთელს რკინიგზელებთან სადავო აბა, არ უნდა ჰქონოდა, კლუბთან კონტრაქტის ვადა დაუსრულდა, უგუნდოდ დიდხანს არ დარჩენილა და ფეხბურთის კლუბ „ამერთან" გააფორმა ხელშეკრულება. „ლოკომოტივი" საკომპენსაციო თანხას კი მოითხოვდა რუსიასგან, მაგრამ 29 წლის მოთამაშე, ვისაც ერთწლიანი კონტრაქტი დაუსრულდა და კლუბისგან საკონტრაქტო თანხაც არ მიუღია, კანონის მიხედვით უკომპენსაციოდ თავისუფლდება. რუსიას რკინიგზული კარიერაც საბოლოოდ გუშინ დასრულდა.

ბოლნისის „სიონის" და ზურაბ ბათიაშვილის დავაში გასარჩევი თითქმის არაფერი იყო. ბათიაშვილს მაისის ბოლოს ბოლნისურ კლუბთან კონტრაქტი გაუსრულდა, თანაც ხელშეკრულებაში გარკვევით ეწერა, რომ ფეხბურთელს გუნდიდან უსასყიდლოდ წასვლა შეეძლო. კომისიამაც ბათიაშვილს ახალ კლუბში, ფოთის „კოლხეთში" გადასვლის ნება დართო.

**მამუკა ძვანტალიანი**



წლეულს ვალტერ გუჩუა (№19) უეფას თასზე „სიონის" მაისურით ითამაშებს

# ისევ იმედი

## თავდახსნა ქოჯაელისგან

*დრო იყო, გია იმედაძეზე დიდ იმედს ამყარებდა ქართული საფეხბურთო სამყარო. ქუთაისის „ტორპედოს" აღზრდილი ნიჭიერი, ტანმაღალი თავდამსხმელი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერიც იყო და ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის მწვრთნელობისას ეროვნულ გუნდშიც მოსინჯა ძალა.*

*მას შემდეგ წლები გავიდა. იმედაძემ საქართველო დატოვა და ვლადიკავკაზის „ალანიაში" გადაბარგდა. თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო, მაგრამ... გიამ ჯერ მძიმე ტრავმა მიიღო, მერე კლუბის ხელმძღვანელობასთან ცხარე კამათიც მოუვიდა და ცხადი იყო, იქ არ დაედგომებოდა.*

*ბოლოს იყო თურქული „ქოჯაელისფორი", რომელიც იქაური სუპერლიგიდან გავარდნის მერეც არ ეშვებოდა იმედაძეს. თურქები დაჟინებით გაიძახდნენ, ეს ბიჭი ჩვენთან უნდა დარჩესო.*

*ასე არ მოხდა. გუშინ გია იმედაძეს დავუკავშირდით და მის ამბებზე დავეკითხეთ*



იოჰან ბოსკამპს იმედაძისაც ეიმედებოდა

— ახლახან დავბრუნდი თურქეთიდან. მართალია, „ქოჯაელისფორთან" კონტრაქტი დამიმთავრდა, მაგრამ მცირე ფორმალობები იყო მოსაგვარებელი.

**— ახლა უკვე თავისუფალი ხარ?**

— ასეა. კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდი. კონტრაქტი საბოლოოდ გაუქმდა და განთავისუფლების ფურცელიც წამოვიღე.

**— ახლა რას აპირებ?**

— ჯერ არ ვიცი, მსურველ კლუბებს ველოდები.

**— კლუბებმა უკვე რა ხანია, მოსამზადებელი ეტაპი დაიწყეს. ხომ არ ფიქრობ, რომ გუნდის მოძებნა კიდევ უფრო დაგიგვიანდება?**

— რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, ყველაფერი უკვე გარკვეული მქონდეს, მაგრამ საქმე სხვაგვარად აეწყო. ისე, მთლად მოუმზადებელი არც მე ვარ. თურქეთში დაახლოებით ათი დღე ვიყავი და ყოველდღე ვვარჯიშობდი. ახლაც იგივეს ვაკეთებ.

**— დაახლოებით რამდენ ხანში გადაწყდება ეგ საკითხი?**

— ერთ კვირაში ალბათ მეცოდინება, რა როგორ იქნება. მერე უკვე მართლა ძალიან გვიანდება.

**— ვარიანტები არ გაქვს?**

— არა. ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვი.

**— როგორ ფიქრობ, საქართველოში დაბრუნდები თუ ისევ უცხოეთში გააგრძელებ კარიერას?**

— უცხოეთი თუ გამოჩნდება, მაგას რა აჯობებს, თუ არა, საქართველოში დავრჩები. ვნახოთ, წინასწარ ლაპარაკი არ მსურს.

**ძახა შალამბერიძე**

# ვეტერინარები ირმების გადასახედიდან

**საქართველოს** მეთოთხმეტე ჩემპიონატის ბრინჯაოსანი „ვიტ ჯორჯია" საახალსეზონო სამზადისის ბოლო ეტაპს შეუდგა. ვეტერინარებმა უცხოურ შეკრებაზე უარი თქვეს, თბილისში, სასტუმრო „საირმეში" დაბინავდნენ და დღეში ორჯერ „შევარდენზე" ვარჯიშობენ.

სადღეისოდ ზურაბ ბერიძის გუნდში 22 ფეხბურთელია. ერთადერთი შენამატი, დიდი შანსია, ყოფილი ვეტერინარი ნახევარმცველი გიორგი დეკანოსიძე იყოს.

„ვიტ ჯორჯიას" გასხვისებულებზე ბევრი კი ითქვა, მაგრამ გახსენებად ღირს: კლუბის ბომბარდირი ლევან მელქაძე უკვე თბილისის დინამოელია; გამთამაშებელი გიორგი ყიფიანი ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიაში" ისინჯებოდა, ოსური გუნდის ახალ თავკაც ბახვა თედეევს თავი მოაწონა და ორწლიანი კონტრაქტიც გაიფორმა; ნახევარმცველი ოლეგ გველესიანი დონეცკის „მეტალურგში" სამი წლით გადაბარგდა.

ვეტერინარულ კლუბს ჯერჯერობით არცერთი ამათგანის გათავისუფლების ფურცელი არ გაუცია, თუმც კლუბის წარმომადგენელთა თქმით, ეს ფორმალობა მალე მოგვარდება.

გუშინწინ „ვიტ ჯორჯია" ნავთლუღში თსუ-ს გაეჯიბრა და 6:1 მოიგო. ვიტელთაგან თავი ორჯერ გამოიჩინა გოცირიძემ, თითოჯერ ერეკლე მერებაშვილმა, მარცვალაძემ, დოლიძემ და ბოლქვაძემ.

ვეტერინარები შეკრებას 22 ივლისს დაასრულებენ. 27-ში კი „შევარდენზე" „მცხეთასთან" თამაშით მე15 ჩემპიონატის აღმართსაც შეუყვებიან.

**მამუკა ძვანტალიანი**

# პუხოვამდე ლაგოდეხია

## ერთი ჩივაძე და ორი შენგელია

**საქართველოს** თასის ფინალისტი და უეფას თასზე სათამაშოდ გამზადებული ბოლნისის „სიონი" 18 ივლისს დაასრულებს ორკვირიან ლაგოდეხურ შეკრებას. თემურ მახარაძეს გუნდის მომზადება უცხოურ შეკრებაზე კი ეწადა და საამისოდ ერთ-ერთი თურქული ქალაქიც იყო შეგულებული, მაგრამ ბოლნისელებს ბოლოს ლაგოდეხილა შერჩათ ხელთ.

ადრინდელი შემადგენლობიდან მახარაძეს მეკარე ბათიაშვილი, მცველები ბურნაძე და სვანაძე, ნახევარმცველები გვასალია და დათვაძე, ფორვარდი შავგულიძე დაეთხოვნენ. კიდევ ერთი უკანახაზელი, რომეო გოგიტაძე კი შუა შეკრებიდან გაქრა და მისი ასავალ-დასავალი უცნობია.

ამათ სანაცვლოდ თემურ მახარაძემ ამავე ამპლუისანი შეიმატა. ფოთის „კოლხეთიდან" მოვიდა მეკარე ავთანდილ ლაბაძე. უცხოეთში უნაყოფო ვოიაჟს ისევ „სიონში" ბურთაობა არჩია კვეკვესკირმა, რომელსაც კიდევ ერთი მცველი, სანდრო ჩივაძე შეუამხანაგდა. ნახევარმცველებიდან ბოლნისურ გუნდში მოვიდნენ ტორპედოელი გუჩუა, კოლხები — გაბიდაური და დარსანია, ხოლო ბესიკ შენგელიამ რამდენიმეთვიანი განშორების შემდეგ ისევ „სიონში" ამო··ო თავი. მახარაძის განკარგულებაშია ორი ახალი ფორვარდიც — ბორის გონჩაროვი და გიორგი შენგელია.

„სიონმა" ლაგოდეხურ შეკრებაზე სამი საკონტროლო მატჩი ითამაშა. თბილისურ „სპარტაკს" ჯერ 1:1-ით დაშორდა, მერე კი სამი უპასუხო გოლით მოუგო. გუშინწინ ბოლნისელებმა „ჭაბუკიანს" 6:0 სძლიეს. „სიონი" ლაგოდეხში ერთ ამხანაგურ მატჩსაც ითამაშებს, მერე ერთსაც თბილისში და ჩემპიონატიც დაიწყება.

**მამუკა ძვანტალიანი**

# გახსოვდეს საფრანგეთი! სიმეონე ბექემს ეძებს



**რომის „ლაციო“** სარდინიაში ახალი სეზონისთვის ემზადება. შეკრებას ერთი კაცი უკვე გამოაკლდა. არგენტინელმა დიეგო სიმეონემ რობერტო მანჩინის და თანაგუნდელებს ხელი ღობის გარედან დაუქნია, ჩანთა გადაიკიდა და რომისკენ გაუტია.

დიეგო სიმეონეს გუშინ დედაქალაქში მადრიდელი სტუმრები დახვდებოდნენ. არა, „რეალი“ არარავისი ყიდულობს, არგენტინელი თავის ძველი კლუბის აგენტებს შეხვდება და ვინძლო, ესპანეთის მთავარქალაქში დაბრუნდეს.

33 წლის ფეხბურთელს „ატლეტიკოში“ თავის დროზე სამი სეზონი (1994-1997) გაუტარებია. მერე ბედმა მილანის „ინტერში“ გადაისროლა. 1998 წელს საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მის ეშმაკობას დევიდ ბექემის გაძევება მოჰყვა, 1999-ში კი „ინტერმა“ „ლაციოს“ კრისტიან ვიერი წაჰგვარა და ხურდაში დიეგო სიმეონე გაუგზავნა. მას მერე არგენტინელი რომაული კლუბისთვის ირჯება.

ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ „ატლეტიკოს“ ელჩებთან კონტრაქტის პირობებს შეათანხმებს და მადრიდში დაბრუნდება. არადა, რამდენიმე კვირის წინ თქვა, აქედან ფეხის მომცვლელი არ ვარო. თუ ტრანსფერი გაიჩარხა, მაშინ მადრიდულ დერბიში შესაძლოა, სიმეონე — ბექემის შეხვედრის მოწმენი კვლავაც გავხდეთ.

„ლაციო“ კიდევ ერთმა მცველმა, დუჩიო ინოჩენტიმ დატოვა. რომაელებს ატალანტელი კრისტიანაო ძაურის გადაბირებაც სწადიათ და ეს ამბავი სავარაუდოდ მომავალ კვირაში გაირკვა.

**გაჟა ხუციშვილი**

# ლარიბი კუნძული ულვაშს ჩამოეკიდა

**ულვაშების** ნერვიული ცმაცუნით გუნდიდან წასული ვისენტე დელ ბოსკე ახლა ისვენებს. რამდენ ხანს მოუწევს უქმად ყოფნა, უცნობია, მაგრამ საეჭვოა, რომ უმუშევარი დიდხანს დარჩეს.

მას პრიმერადივიზიონის ერთმა კლუბმა, „მალიორკამ“ უკვე მიაკითხა. კუნძულელები გასულ სეზონში მეცხრე ადგილზე გავიდნენ და სამეფო თასი მოიგეს. შემოდგომიდან ისინი უეფას თასის გათამაშებაში ჩაებმებიან.

ამჟამად „მალიორკა“ უმწვრთნელოდაა. გუნდის ყოფილი თავკაცი გრეგორიო მანსანო აწეწილ ფინანსურ საქმეებს გაექცა. მალიორკელები ვალებში ყოფილან და დახმარებაც არსაიდან ჩანს. გრეგორიო მანსანომ სამუშაო დედაქალაქში, მადრიდის „ატლეტიკოში“ ნახა. „ატლეტიკოდან“ კი ორიოდ კვირის წინ ლუის არაგონესი დაითხოვეს და მანსანო მის ნაცვლად დანიშნეს.

კუნძულელებს პრიმერადივიზიონში მონაწილეობისთვის გადასახდელი თანხაც კი არა აქვთ. ისინი გაწამაწიაში არიან და თან ახალ მწვრთნელს ეძებენ.



ვისენტე დელ ბოსკემ, ჯერ ფული, მერე სამსახურიო

ვისენტე დელ ბოსკემ დაადასტურა, რომ „მალიორკაში“ სამუშაოდ მიიწვიეს. ულვაშას თქმით, სხვა კლუბებიც შეეხმიანნენ, მაგრამ „მალიორკა“ ყველაზე უფრო მოწადინებული ყოფილა.

ვალების გასასტუმრებლად კლუბს რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვა მოუწევს. პირველი მათ შორის, რა თქმა უნდა, მთავარმეგოლე სამუელ ეტოო გახლავთ. კამერუნელი ფორვარდის აგენტი, ხავიერ გარსია ირწმუნება, რომ მას ვალენსიელები დაუკავშირდნენ და ეტოოს სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო შესთავაზეს.

„მალიორკამ“ ჯერ ფინანსური პრობლემები მოაგვაროს და მერე ვისაუბროთო, თქვა ვისენტე დელ ბოსკემ.

**გაჟა ხუციშვილი**

# როზერტო ლანცეტო

**იტალიურმა „ბრეშამ“** ინტერტოტოს მესამე ეტაპზე კი გააღწია, მაგრამ სერია A-ში ახალ სეზონს გუნდი რობერტო ბაჯოს გარეშე შეხვდება.

ბრეშელთა ჯილას მუხლი ასტკივებია და ექიმებს უთქვამთ, საოპერაციოდ გაემზადეო. ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციას დაახლოებით ორი კვირა დასჭირდება, ამიტომ 36 წლის ბაჯო გუნდს რამდენიმე ტურის დაგვიანებით შეუერთდება.

იმავდროულად, ახალმა მწვრთნელმა ჯანი დე ბიაზიმ აღნიშნა, რამდენიმე ახალი ფეხბურთელის დამატება გვსურსო: „ვფიქრობ, რომ ხუთი-ექვსი მოთამაშე აუცილებლად უნდა დავიმატოთ. ყველა რგოლში გაძლიერება გვჭირდება, რათა ახალ სეზონში უკეთ ვითამაშოთ. ჯერ გასარკვევია, შეუძლია თუ არა კლუბს ახალი ფეხბურთელების აყვანა, მაგრამ ეს როგორმე უნდა მოვახერხოთ, თორემ მცირე ხანში სკამი ძალიან დაგვიმოკლდება.“

**გაჟა ხუციშვილი**





# სესარ სანჩესის ბედნიერება

**ხომ ჩვეულებრივი** საფეხბურთო ფოტოა? ტრადიციულზე ტრადიციული და ბანალურზე ბანალური — მადრიდის „რეალის“ მეკარე სესარ სანჩესს საკუთარი კარის მისადგომებთან ვარჯიშის დროს დასვენება გადაუწყვეტია და არაფრისმთქმელი სახით ხელში ორი ბურთი უჭირავს.

ამა წლის 11 ივლისს კი სენიორ სესარს ყინჩად გაბუშტული ტყავის ბურთების ნაცვლად ხელთ საკუთარი ბედნიერება, სიხარული და მხიარული სიგიჟე ეპყრა, თანაც მერწმუნეთ, თქვენს მიერ ნანახი ფოტოსგან განსხვავებით, სახეზე გულგრილი ნიღაბი ნამდვილად არ ეკეთა: „რეალის“ კარის დარაჯი და ღირსეული კაბალიერო ტყუპი გოგონების მამა გახდა!

ადრიანა და მარია, სესარისთის ახლა ბურთისა კი არა, ყველაფრის შემცველი პატარა ანგელოზები, შესანიშნავად გრძნობენ თავს და ბედნიერი მამის გულს ახარებენ.

ეს ყველაფერი კი სალამანკაში მოხდა, ოდეს სანჩესების ოჯახი ამ უძველესი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებდა. დოლორეს სანჩესმა აქაურ კლინიკაში მიყვანისთანავე მეუღლეს თავისი ცხოვრების ყველაზე დიდი ღირსშესანიშნაობა აჩუქა.

**ლადო ხომერიკი**

# ჯალმინიას დაბრუნება

**ბრაზილიურმა** „ვასკუ და გამამ“ მშვენივრად ისარგებლა ჯალმა სანტოსის, იგივე ჯალმინიას სამშობლოში არდადეგებზე ყოფნით და 32 წლის ვარსკვლავს რიოში ბურთაობის პერსპექტივა შესთავაზა. ოკეანის გადაღმა გაჩაღებული სატრანსფერო მიმოქცევის შესახებ იქაური „LANCE“ იტყობინება. ჯალმინია ამჟამად გალისიური „დეპორტივოს“ კუთვნილებაა, თუმც ბოლო ერთი სეზონია ვენის „აუსტრიაში“ თამაშობს. ვენური კლუბი ქვეყნის ჩემპიონი გახდა, მაგრამ ბრაზილიელი ცენტრალურ ევროპაში თამაშს აღარ აპირებს. „ავსტრიაში ნამდვილად აღარ დავბრუნდები, „დეპორტივოსთან“ ურთიერთობას გავაგრძელებ თუ არა, ჯერ არ ვიცი“ — განაცხადა ჯალმამ, რომელსაც გალისელებთან კლუბთან მხოლოდ ორი წლის შემდეგ უმთავრდება კონტრაქტი. მალე იგი ლაკორუნიაში ჩადის, რათა იქაური ფეხბურთის მამებს საბოლოო პასუხი უთხრას. „LANCE“-ს ცნობით, „ვასკუ და გამას“ მესვეურებს უკვე ჰქონდათ საქმიანი საუბარი ფეხბურთელთან და მისი ბედი შეიძლება უახლოეს დღეებში გადაწყდეს. თავად სანტოსი თავშეკავებულად ლაპარაკობს. „ვასკოსთან“ ჩემი კავშირების შესახებ პრესიდან შეიტყვე, ამიტომაც ბევრს ვერაფერს გეტყვით“ — ირონიულად განუცხადა მან ზემოხსენებული გაზეთის ჟურნალისტებს, ოდეს მშვენიერ ასულთა თანხლებით რიო დი ჟანეიროს დიდებულ პლაჟზე ფრენბურთის ფეხით თამაშით ერთობოდა.



**ლადო ხომერიკი**




„ჩელსის“ გლენ ჯონსონი დროებით, ემანუელ პეტი კი საერთოდ აღარ სჭირდება

# ევროპას რუსი შეესია

## არ გინდათ მსოფლიოს ჩემპიონი?

*კევინ კიგანს ამ ზაფხულს მესამე ფეხბურთელის შეძენა სურს და მიზანში 32 წლის ფრანგი, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ემანუელ პეტი ჰყავს ამოღებული. პეტის სანაცვლოდ „მანჩესტერ სიტის“ ბოსი 2,5 მილიონ გირვანქას იხდის და იმედოვნებს, რომ ბოლო ხანს „ჩელსის“ ძირითადიდან სათადარიგოთა სკამისკენ გადაჩოჩებული ფრანგი სიამოვნებით დათანხმდება ახალ პერსპექტივას.*

**საქმე** ისიც გახლავთ, რომ ლონდონური კლუბის ახალი პატრონი, რუსი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი დაჟინებული კაცია და რაღაც არ უნდა დაუჯდეს, ცნობილი ნახევარმცველის შეძენას აპირებს. აბრამოვიჩი ისეთ გვარებსაც კი ასახელებს, როგორიც ვერონი და დავიდსია, თუმცა სიაში გაცილებით მეტი ხალხი ჰყავს ჩამოწერილი. ერთი სიტყვით, თუ რუსი მილიარდელი საწადელს აისრულებს და რომელიმე დიდ ნახევარმცველს შეიძენს, „ჩელსიში“ პეტი, ალბათ, აბსოლუტურად უსარგებლო გახდება.

ამბობენ, რომ ყოფილი არსენალელი (პეტი 1998 წელს „მეთოფეთა“ შემადგენლობაში ინგლისის ჩემპიონიც გახდა და თასის მფლობელიც), რომელიც „ჩელსისა“ და „არსენალს“ გარდა „ბარსელონაშიც“ თამაშობდა, შესაძლოა ლონდონელებს სეზონისწინა შეკრებაზე იტალიაში აღარც გაჰყვეს.

შეგახსენებთ, რომ პეტიმდე კიგანი „არსენალისა“ და ინგლისის ნაკრების ცნობილ მეკარეს, დევიდ სიმენს და გერმანელ ნახევარმცველ მიხაელ ტარნატს გაურიგდა. პეტი „სიტის“ თავკაცს გამთამაშებლად სჭირდება და მიიჩნევს, რომ ოცდაათს აცილებული ასაკის მიუხედავად იგი ზედმიწევნით გამოადგება, ოღონდ ერთიცაა, აქ იგულისხმება, რომ ფრანგი კვირაში 40-ათასიანი ჯამაგირის შემცირებას დაყაბულდება.



ედგარ დავიდსი

### თხა ვიყიდე, თხა გავყიდეო

მოკლედ, რაც ეს აბრამოვიჩი ინგლისურ ფეხბურთში მივიდა, ყველაფერი აირ-დაირია. აი, მაგალითად, 18 წლის ჯადობიჭუნა გლენ ჯონსონი, რომელიც „ჩელსიმ“ „ვესტ ჰემისგან“ 6 მილიონ გირვანქად იყიდა, აცხადებს, რომ თუ ჩელსელია ჩელსელი უნდა იყოს და ისევ „ვესტ ჰემში“ არ უნდა დააბრუნონ.

მოგეხსენებათ, „ვესტ ჰემი“ პრემიერლიგიდან გავარდა და წლეულს მიზნად უკან დაბრუნება ექნება დასახული.

ერთი სიტყვით, ორ ლონდონურ კლუბს შორის ყველაფერი იდეალურად იყო აწყობილი, „ჩელსიმ“, როგორც გითხარით, ყმაწვილი იყიდა და იქვე სესხად უბრუნებდა „ვესტ ჰემს“, მაგრამ თავად მოთამაშემ პროტესტი გამოაცხადა.

ისე, კაცმა რომ თქვას, „ვესტ ჰემი“ არც ფულის მიღებაზე იქნება უარს, რადგან სულ მალე ვალი აქვთ გასასტუმრებელი — 10 მილიონი გირვანქა.

ჯონსონის აგენტი ჯონათან ბარნეტი:

„მართლაც იყო საუბარი სესხებაზე, მაგრამ ბოლოს ვამჯობინეთ ტრანსფერი ტრანსფერი ყოფილიყო. მას ძლიერ გუნდში თამაშის შანსი სჭირდებოდა და ეს სრულიად გასაგებია. ეს არც ქედმაღლობა გახლავთ და არც რამე ამგვარი“.

### გმადლობთ, პრეზიდენტო

რაც შეეხება დავიდსს, ამბობენ, რომ აბრამოვიჩი „იუვენტუსისთვის“ 11 მილიონ გირვანქას არ იშურებს და თუ კლუბები ხელი-ხელს დაჰკრავენ, ჰოლანდიელი ნახევარმცველი კვირაში 90 ათასს მოითხოვსო. 30 წლის დავიდსის ცნობით, აბრამოვიჩს მისთვის წელიწადში ნაღდი 3,3 მილიონი გირვანქის გადახდაზე უთქვამს ყაბული. ვიმეორებთ: 3,3 მილიონი უნდა იყოს ის, რაც დაბეგვრის შემდეგ, დავიდსის ჯიბისთვის დარჩება.

დახეთ, რა გამოვა: დავიდსი და ხუან ვერონი ნახევარდაცვაში! — დავიდსის ყიდვა „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ არგენტინელი ვერონის 14 მილიონად შეძენაზე უარის თქმას არ ნიშნავს, პირიქით „ჩელსის“ თავკაცის, კლაუდიო რანიერის აზრით, ეს ორი ფეხბურთელი იდეალურად შეავსებს ერთმანეთს. მეტიც, ლონდონელები ამტკიცებენ, რომ მათი მოლაპარაკებები მანჩესტერელებთან წარმატებით ვითარდება.

ხოლო „ინტერის“ ფორვარდი, კრისტიან ვიერი გახლავთ ადამიანი, რომელიც „სტემფორდ ბრიჯზე“ ნამდვილად არ ითამაშებს. დავიდსისა არ იყოს, ვიერიც 30 წლისა გახლავთ, მაგრამ ჰოლანდიელისგან განსხვავებით იტალიელში აბრამოვიჩი 32 მილიონ გირვანქას იხდიდა.

ვიერიმ განაცხადა: „ვიცი, რომ „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი და აბრამოვიჩი ერთმანეთს შეხვდნენ და ერთი წამით საკუთარ თავს ვკითხე კიდეც, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. კიდევ კარგი, შემდეგ, „ინტერის“ ტექნიკურმა დირექტორმა გაბრიელე ორეალიმ დამირეკა და მითხრა, რომ მორატიმ კიდევ ერთხელ გამომაცხადა ხელშეუხებლად. ეს სწორედ ის სიტყვები გახლდათ, რომელთა მოსმენაც მინდოდა. ამ სიტყვების დასაფასებლად პრეზიდენტს დავურეკე და მადლობა მოვახსენე“.

**ბაჩუნა ძიძია**

# ოპერაცია კიუელი გრძელდება

**„ლიდს იუნაიტედი“** ავსტრალიელი ჰარი კიუელის „ლივერპულში“ გადასვლით, უფრო სწორად, გადასვლის თანმდევი ლამის ყველა ასპექტით უკმაყოფილო რომ იყო, ცნობილია. ახლა ამ ისტორიაში ახალი უსიამოვნო ნაკადი შემოიჭრა — ლიდსელები და მათი წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კიუელის ტრანსფერი ულიცენზიო აგენტმა გაკვაჭა.

აი, რა თქვა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივანმა ადრიან ბივინგტონმა:

„დღეს ფეხბურთის ასოციაციამ ფიფას გაუგზავნა ჰარი კიუელის „ლიდს იუნაიტედიდან“ „ლივერპულში“ გადასვლასთან დაკავშირებული მასალები, რომლებშიც ნათქვამია, რომ ტრანსფერში ულიცენზიო აგენტი იყო ჩარეული. იმის გამო, რომ ტრანსფერი საერთაშორისო ელემენტს შეიცავს და იმის გამო, რომ ფეხბურთის ასოციაციის იურისდიქცია მხოლოდ მის მიერ ლიცენზირებულ აგენტებზე ვრცელდება, ეს საქმე პირდაპირ ხვდება ფიფას განსახილველ საქმეთა შორის“.

გავიხსენოთ, რომ ტრანსფერის საფასური 5 მილიონი გირვანქაა, ოღონდ „ლიდსის“ ჩივილიდან ირკვევა, რომ კლუბი იძულებული გახდა, 2 მილიონი ფეხბურთელის წარმომადგენლებისთვის დაეთმო, რათა თავიდან აეცილებინა ერთი წლის შემდეგ მისი უკაპიკოდ წასვლა — კიუელს ერთ წელიწადში კონტრაქტის ვადა გაუდიოდა.

„ლიდსის“ თავმჯდომარე, ჯონ მაკკენზი ამბობს იმასაც, რომ კიუელმა და მისმა აგენტმა, ბერნი მანდიჩმა იმითაც იხეირეს, რომ თავიდან 7-მილიონიანი გარიგება „ლივერპულს“ 5 მილიონამდე დააყვანინეს.

„ლივერპული“ თავის მხრივ აცხადებს, რომ კიუელს და მანდიჩს არალეგალური არაფერი გაუკეთებიათ და არც კლუბისთვის გამოუტყუებიათ დამატებით რაიმე თანხა.

ფიფამ ჯერჯერობით კომენტარისგან თავი შეიკავა.

**ბაჩუნა ძიძია**

# სერ ალექსის ოინები

## ფერგიუსონმა ლიდსს საჩუქარი წაართვა

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა დრამატული და ერთობ მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა — ბრაზილიელ კლებერსონს „ლიდსისკენ“ მიმავალ გზაზე ბოლო წამს ჩაუხტა. ეს სხვა სიტყვებით იმას ნიშნავს, რომ კლებერსონის ფასმა 7 მილიონ გირვანქამდე აიწია და ახლა იმავე „ლიდსს“, თუ მაინც არ დაიშლის თავისას, ჯიბეში უფრო ღრმად გაუხდება ხელი ჩასაყოფი.

კლებერსონი ბრაზილიაში, „ატლეტიკო პარანენსეში“ თამაშობს, 24 წლისაა და ნაკრებში თანაგუნდელი გახლავთ იმ რონალდინიოსი, რომელიც „იუნაიტედს“ სადაცაა „პარი სენ ჟერმენისგან“ 20 მილიონი გირვანქის ფასად შეუერთდება. მოგეხსენებათ, კლებერსონი და რონალდინიო 2002 წელს ერთად გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები.

მანჩესტერელთა ასეთი ნაბიჯი ბუნებრივია, „ლიდსის“ ბოსს, პიტერ რიდს სასტიკად არ ესიამოვნა. მას იმედი ჰქონდა, რომ კლებერსონს 3 მილიონ გირვანქად შეიძენდა — ხელშეუხებლად გადარიცხავდა ბრაზილიაში იმ თანხას, რომელიც სულ ახლახან, ჰარი კიუელის სანაცვლოდ „ლივერპულმა“ გადაუხადა. ბევრჯერ გვიხსენებია, რომ „ლიდს იუნაიტედი“ ფინანსურ კრიზისს განიცდის და ამდენად, 3 მილიონად კლებერსონის ყიდვა საჩუქრად ეჩვენებოდა — ფეხბურთელს „ატლეტიკოსთან“ ერთი წლის შემდეგ გაუდიოდა კონტრაქტის ვადა.

| **18 ივლისი** | | | |
| ლაციო (იტალია) — ჩელსი (ინგლისი) | 2,1 | 3,2 | 3,0 |
| **გერმანიის ლიგის თასი. ნახევარფინალი** | | | |
| **16 ივლისი** | | | |
| დორტმუნდი — ბოხუმი | 1,72 | 3,25 | 4,2 |
| **17 ივლისი** | | | |
| ჰამბურგი — ჰერტა | 2,75 | 3,2 | 2,25 |
| **ფინეთი. XIII ტური** | | | |
| **16 ივლისი** | | | |
| ჰაკა — ალიანსი | 1,6 | 3,6 | 4,25 |
| **17 ივლისი** | | | |
| კუოპიო — ტურკუ | 2,4 | 3,3 | 2,4 |
| ტამპერე — მიუპა | 2,4 | 3,3 | 2,4 |

CORAL EUROBET

## ევრობეთი (დიდი ბრიტანეთი)

| | | | |
|---|---|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა I საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები** | | | |
| **16 ივლისი** | | | |
| ბატე — ბოჰემიანსი | 1,55 | 3,5 | 5,2 |
| სლიმა — სკონტო | 4,25 | 3,3 | 1,7 |
| დინამო თბილისი — ტირანა | 1,45 | 3,6 | 6,25 |
| პიუნიკი — რეიკიავიკი | 1,6 | 3,4 | 4,85 |
| შერიფი — ფლორა | 1,45 | 3,7 | 6,0 |
| ომონია — ირტიში | 1,45 | 3,7 | 6,0 |
| ტორსჰავნი — კაუნასი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| ვარდარი — ბარი თაუნი | 1,35 | 3,85 | 7,85 |
| გრევენმახერი — ლეოტარი | 4,4 | 3,4 | 1,65 |
| გლენტორანი — ჰიკ | 3,5 | 3,2 | 1,9 |

# ჩვეულებრივი გამოფენა
## ქართველი მწვრთნელები ხალხში გაერივნენ

*სანამ საქართველოში დრაჟენ ბრაიკოვიჩის შეპირებული სამწვრთნელო სემინარები მოეწყობოდეს, ქართველი მწვრთნელები კვალიფიკაციის ასამაღლებლად საზღვარგარეთ დადიან. ივნისის ბოლოს სერბიულ ბელგრადში მსოფლიოს მოწინავე მწვრთნელები შეიკრიბნენ და ათასზე მეტ შედარებით დაბალი დონის სპეციალისტს ცოდნა-გამოცდილება გაუზიარეს. ათას მსმენელს შორის ორი ქართველიც ერია — „ბასკოს" მთავარი მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი და ბათუმელთა ბავშვთა გუნდის თავკაცი მიხეილ კობეშავიძე. კანდელაკის ბელგრადული ვოიაჟი მოსკოვურით გაგრძელდა, რუსთა დედაქალაქში ცსკა-ს ახალგაზრდული კემპი მოეწყო და მასში კანდელაკის შეგირდებიც — გიორგი ცინცაძე, ნიკა ჩხატარაშვილი, ბუბა კვიმსაძე და დავით იმნაძე მონაწილეობდნენ. ბელგრადულ-მოსკოვურ ამბებზე ნუგზარ კანდელაკი თავად გვესაუბრება...*



— ბელგრადში დიდი თავყრილობა იყო, ევროპის ყველა წამყვანი მწვრთნელი მონაწილეობდა სემინარებში. ეს პროექტი ცსკა-ს სერბ მწვრთნელ დუშან ივკოვიჩს ეკუთვნის და მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელებიც ბელგრადში მისი ინიციატივით იკრიბებიან. ამჯერად სემინარებს „სან ანტონიოს" თავკაცი გრეგ პოპოვიჩი, ტაუელი დუშკო ივანოვიჩი, „რეალის" მწვრთნელი ჰავიერ იმბროდა და, რა თქმა უნდა, დუშან ივკოვიჩი უძღვებოდნენ. ვისაც კი ევროპაში უთამაშია და უმწვრთნელია, ყველა ბელგრადში ჩამოვიდა. საჩვენებელი ვარჯიშები „ცრვენა ზვეზდას" დარბაზში ტარდებოდა, რომლებსაც 1000-1100 მწვრთნელი ვესწრებოდით.

**— როგორ მოხერხდა ასეთ წარმომადგენლობით სემინარზე თქვენი გამგზავრება?**

— ყველაფერი პაველ გოოგეს დახმარებით მოხდა. მოგეხსენებათ, გოოგე ივკოვიჩის თანაშემწეა ცსკა-ში და სერბ სპეციალისტთანაც სწორედ მან გაგვიწია რეკომენდაცია. როცა სემინარებზე მონაწილეობის იურიდიული მხარე მოგვარდა, ჩემი და მიშა კობეშავიძის დაფინანსება „ბასკოს" ხელმძღვანელობამ იკისრა.

**— დიდ სარგებელს ნახავდით ამ სემინარებიდან...**

— ეს სემინარები დაახლოებით იგივეა მწვრთნელისთვის, რაც კალათბურთელისთვის ევროლიგის ფინალში თამაში. რა გითხრათ, არც კი ვიცი, ალბათ, რამდენიმე წლის გამოცდილება ერთბაშად შემემატა. ისეთი რაღაცეები ვნახე და მოვისმინე, რაც აუცილებლად გამომადგება და საქმეს გამიიოლებს. სემინარის წამყვანმა მწვრთნელებმა სულ დეტალურად განიხილეს კალათბურთში დღეს არსებული მიმდინარეობები, სამწვრთნელო მეთოდოლოგია და ფსიქოლოგიური ასპექტებით მანიპულირებაც კი.

**— გრეგ პოპოვიჩის ვარჯიშები ძალიან განსხვავდებოდა ევროპელი მწვრთნელების ვარჯიშებისგან?**

— დიდი სხვაობა იყო. ერთი საინტერესო ამბავი მახსენდება პოპოვიჩთან დაკავშირებით. „სან ანტონიოს" მწვრთნელს ევროპელები ეკითხებიან, მოწინააღმდეგის ზონა როგორ უნდა დავშალოთო. პოპოვიჩს გაეცინა და უპასუხა, მე ეგ პრობლემა არ მაწუხებს, გუნდში ტიმ დანკანი მყავს, აგერ, ჟელკო ობრადოვიჩი და ის გასწავლით ამ საქმესო.

**— რომელიმე ცნობილ მწვრთნელთან თუ ისაუბრეთ?**

— ბევრს გავესაუბრე. რომ გაიგეს, საქართველოდან ვიყავი, „არაჩვეულებრივი გამოფენისა" არ იყოს, მკითხეს, სადა ხართ ეს ქართველები, არც ერთ სემინარში რომ არ მიგიღიათ მონაწილეობაო.

**— სამაგიეროდ, კალათბურთელები მონაწილეობენ კემპებში... ბელგრადის სემინარებს მოსკოვური კემპი მოჰყვა. ეს როგორღა მოხერხდა?**

— ამაშიც პაველ გოოგე დაგვეხმარა. მეც და ისიც ბელგრადიდან მოსკოვში გადავფრინდით, სადაც „ბასკოს" ახალგაზრდები ცინცაძე, ჩხატარაშვილი, კვიმსაძე და იმნაძე შემოგვიერთდნენ. ამ ბიჭებს ცინცაძის გარდა, გოოგე „ბასკოდან" იცნობდა და თავად შეარჩია.

**— რა კემპი იყო და ვინ მონაწილეობდა მასში?**

— საკმაოდ ხანგრძლივი კემპი იყო. დაახლოებით ხუთი კვირა მიმდინარეობდა. ნაწილი რომ ივარჯიშებდა, მათ ადგილს სხვები იკავებდნენ. თითქმის სულ რუსეთის ქალაქებიდან იყვნენ, ჩვენ ციმბირელებთან მოგვიწია ვარჯიშმა.

**— ვინმე ცნობილი მწვრთნელი ხომ არ ესწრებოდა ვარჯიშებს?**

— ძირითადად სულ რუსები. ეს ცსკა-ს კემპი იყო და თუ ვინმე გამოიჩენდა თავს, მისით არმიელები თუ დაინტერესდებოდნენ.

**— ჩვენებურებით თუ დაინტერესდნენ?**

— ჯერ არაფერი უთქვამთ, ისე კი, ჩემი აზრით, ურიგო შთაბეჭდილება არ მოუხდენიათ ჩვენს ბიჭებს. ყველა მონდომებული იყო, იქ მყოფ ახალგაზრდებში მათზე უკეთესი ვერავინ ვნახე.

**—გავიგეთ, გიორგი ცინცაძეს „ოლიმპიაში" გადასვლის შანსი აქვს...**

— შანსი აქვს მხოლოდ, გადავა თუ არა, გადაჭრით ვერ გეტყვით. მასე „ბენეტონის" და ფრანგული გუნდების ვარიანტებიც კია, მაგრამ ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს.

**— მოლაპარაკება რა სტადიაზეა, ის მაინც გვითხარით...**

— მაგ საქმეს „ბასკოს" ხელმძღვანელობა უძღვება და მე მაშინ გავიგებ ყველაფერს, როცა ცინცაძის ტრანსფერს საბოლოოდ დაესმება წერტილი.

**ირაკლი პერტაია**

*საკრამენტოელი სუპერვარსკვლავის კრის ვებერის გაჭიანურებული სასამართლო პროცესი გადამწყვეტ სტადიაში შედის. ვებერს სტუდენტურ ლიგაში თამაშისას ფულის აღება ედება ბრალად. პროცესი რამდენიმე წელი გრძელდება და საქმე ისე შეტრიალდა, ეგებ ვებერს ხუთწლიანი პატიმრობა გამოუწერონ და 250 ათასითაც დააჯარიმონ*

# ვებერი მატყუარაც ყოფილა
## მეფეთ-მეფეს ციხე ელის



სტუდენტური ლიგა სამოყვარულოა და მისი წევრებს ხელფასის აღება კატეგორიულად ეკრძალებათ, ვებერს კი 10-12 წლის წინანდელ ამბებს უხსენებენ, „მიჩიგანში" და მანამდე „ჰაი სქოულში" თამაშისას ფულს იღებდიო, მაგრამ ჭეშმარიტება ჯერაც ვერ დაუდგენიათ.

ფულის აღება თუ დანაშაულია, მაშინ მიმცემიც უნდა დაისაჯოს, მაგრამ ვისაც ვებერისთვის კონსპირაციული გზებით ხელფასის მიცემაში ედებოდა ბრალი, ანუ „მიჩიგანის" იმდროინდელი შეფთაგანი ედ მარტინი ამა წლის თებერვალში გარდაიცვალა. თითქოს გამოძიება ჩიხში უნდა შესულიყო, რადგან ორი ეჭვმიტანილიდან ერთი გარდაიცვალა, მაგრამ აგერ, ორი დღის წინ გამართულ მორიგ სასამართლო პროცესზე ვებერმა აღიარა, 1993 წლის სეზონში მარტინისგან 38 ათასი დოლარი ავიღეო.

ვებერის დაგვიანებულ გულახდილობაში ლაგიკა ძნელი საპოვნელია, მაგრამ ერთი კი ცხადია, მის დანაშაულს, შავ ფულს რომ იღებდა, მეორე ბრალდებაც დაემატა — სასამართლოს წინაშე ტყუილის თქმა. ტყუილი ვებერს 2000 წლის სასამართლო პროცესისას უთქვამს, როცა მარტინისაგან ცენტის აღებაც კი უარუყვია.

ეტყობა, ვებერმა სიმართლის თქმა და ამით სასჯელის შემსუბუქება არჩია, რაკიღა მარტინს სიკვდილამდე უღიარებია 1988-93 წლებში სამი კალათბურთელს ჯამში 616 ათასი დოლარი გადავუხადე, აქედან 280 ათასი ვებერსო.

როგორც ხედავთ, გარდაცვლილისა და საკრამენტოელი ფორვარდის ჩვენებებში რაღაც შეუსაბამობაა. ამიტომაც გრძელდება გამოძიება. მომდევნო სასამართლო პროცესი 16 სექტემბრისთვისაა დანიშნული.

ვინ იცის, მომავალ სეზონში „საკრამენტოს" თამაშებს ვებერმა გისოსებს მიღმა, ტელევიზორში უცქიროს...

**ირაკლი პერტაია**

# ბოდიროგამ ჩაიმუხლა

ევროპის ჩემპიონატი ბოდიროგას გარეშე? სამწუხაროდ, ეს რეალობაა. ბებერი კონტინენტის საუკეთესო მოთამაშემ გუშინწინ ბელგრადში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აგვისტო-სექტემბერში შვედეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე არ ითამაშებს.

დეიან ბოდიროგამ მიზეზად გადაღლა დაასახელა და ისიც დასძინა, რომ ნაკრებიდან არ მივდივარ. უბრალოდ, მეტი სერიოზულობით ვეკიდები მომავალი წლის ოლიმპიადას და 2005 წელს ბელგრადში გასამართ ევროპის ჩემპიონატს და დასვენება მსურსო, 1995 წლიდან მოყოლებული ყველა ევროჩემპიონატში მითამაშია და ამოსუნთქვა მჭირდებაო.

სერბია და ჩერნოგორიის ნაკრებისთვის ბოდიროგა არაა ერთადერთი დანაკარგი. მანამდე ეროვნულ გუნდში თამაში იუარეს საკრამენტოელმა ვლადე დივაცმა და სიეტლელმა ვლადიმირ რადმანოვიჩმა. დივაცმა უკვე გადაწყვიტა, რომ მომავალი სეზონის ბოლოს სათამაშო კარიერას დაასრულებს და ბოლო ნბა-ურ სეზონის წინ არ სურს, შვედეთის მოედნებზე დაიტვირთოს თავი. რადმანოვიჩმა კი, ფიზიკურად უნდა მოვმძლავრდე, ნაკრებს მომავლისთვის უფრო წავადგებიო.

სათუოა კიდევ ერთი გამოცდილი სერბის, პამესელი დეიან ტომაშევიჩის შვედეთში თამაშიც. ტომაშევიჩმა მოსაფიქრებელი ვადა ითხოვა. თუმც სერბეთში კალათბურთელებს რა დალევს და ახალ მწვრთნელ დულე ვუოსევიჩს ნაკრების შევსება ახალგაზრდებით განუზრახავს. სერბ-მონტენეგრულ ლაშქარს სავარაუდოდ ნენად კრსტიჩი და წლევანდელ დარფტზე არჩეულნი — დარკო მილიჩიჩი და ალექსანდრ პავლოვიჩი შეუერთდებიან.

**ირაკლი პერტაია**



დეიან ბოდიროგა



ვლადე დივაცი

# RUGBY WORLD CUP 2003

10 October - 22 November 2003

Rugby True Colours



# საქართველო გულივერია. გოლიათებში აუ, როგორ აძგერდება გული!

*2003 წელი მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის სარაგბო წელია. ხომ არ დაგავიწყდათ, ამ შემოდგომას, 10 ოქტომბრიდან 22 ნოემბრამდე დედამიწაზე ერთადერთი კონტინენტი -ქვეყანა და ერთადერთი ორგზის ჩემპიონი ავსტრალია მსოფლიოს მეხუთე სარაგბო ჩემპიონატს უმასპინძლებს, რასაც მორაგბეები თავიანთ „ენაზე“ მსოფლიოს თასს უწოდებენ*



საშემოდგომოდ კენგურუსა და ოვალური ბურთის ქვეყანას სხვა 18 დროშის ლაშქართან ერთად შინდისფერი საქართველოც ეწვევა. მეოცე კი მასპინძელი და მოქმედი ჩემპიონი ავსტრალიაა.

საქართველო მსოფლიოს თასის დებიუტანტია, თანაც მეხუთე თასის ერთადერთი დებიუტანტი. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, როგორ აუძგერდებათ გული რუსთაველში „პივის ბოჭკებთან“, ანაც ვარკეთილის მეურნეობაში რაგბის ნაზიარებ ქართველებს, როდესაც 12 ოქტომბერს პერთის გადაჭედილ სტადიონის მწვანეზე „დედა“ ინგლისთან სათამაშოდ შევლენ, ანაც 24 ოქტომბერს სიდნეიში ექსჩემპიონ საფრიკელებს, რომ წარუდგებიან. გოლიათი ქართველი მორაგბეები იქნებიან გულივერები გოლიათების ქვეყანაში.

ოქტომბრამდე კარგა დროა, მაგრამ აქედანვე ვთქვათ, ბორჯღალოსანთა თამაშის „ცოცხლად“ ნახვის საშუალება საქართველოშიც გვექნება. ტელეკომპანია „იმედმა“ მსოფლიოს თასის მატჩების პირდაპირი ტრანსლაციის უფლება იყიდა და საქართველოს ოთხივე შეხვედრის (ინგლისთან, საფრიკასთან, სამოასა და ურუგვაისთან) პირდაპირ რეპორტაჟს გვპირდება. აგრეთვე იგეგმება ჯგუფური და შემდგომი ეტაპების საინტერესო მატჩების პირდაპირი ტრანსლაციაც. ასე რომ, ოქტომბერ-ნოემბერში რაგბის გურმანებს მოსაწყენად ნამდვილად არ ეცლებათ.

დღეს გაახლებთ ჯგუფური ეტაპის მატჩების ნუსხას, მათი ჩატარების ადგილებსა და დროს. ჩვენსა და ავსტრალიის დროებს შორის არათანაბარი სხვაობა ნუ დაგაბნევთ. ავსტრალია დიდი ქვეყანაა, სადაც არაერთი სასაათო სარტყელი მოქმედებს.

და ერთიც, 25-26 ნოემბრის გასაყარზე ავსტრალიელები საზაფხულო დროზე გადადიან, ჩვენ კი საზამთრო დროზე.



მსოფლიოს თასისთვის გულშემატკივართა არმიებიც ირაზმებიან

| A ჯგუფი | B ჯგუფი | C ჯგუფი | D ჯგუფი |
|---|---|---|---|
| ავსტრალია | საფრანგეთი | ს.აფრიკა | ახ. ზელანდია |
| არგენტინა | შოტლანდია | ინგლისი | უელსი |
| ირლანდია | ფიჯი | სამოა | იტალია |
| ნამიბია | იაპონია | საქართველო | კანადა |
| რუმინეთი | აშშ | ურუგვაი | ტონგა |

| ჯგუფური ეტაპის მატჩები | | ქალაქი | ადგილობრივი დრო | ჩვენი დრო |
|---|---|---|---|---|
| 10 ოქტომბერი | ავსტრალია — არგენტინა | სიდნეი | 19.00 | 14.00 |
| 11 ოქტომბერი | ახალი ზელანდია — იტალია | მელბურნი | 14.30 | 9.30 |
| | ირლანდია — რუმინეთი | გოსფორდი | 17.00 | 12.00 |
| | საფრანგეთი — ფიჯი | ბრისბენი | 19.30 | 14.30 |
| | სამხრეთ აფრიკა — ურუგვაი | პერთი | 19.30 | 17.30 |
| 12 ოქტომბერი | უელსი — კანადა | მელბურნი | 18.00 | 13.00 |
| | შოტლანდია — იაპონია | მელბურნი | 18.00 | 15.00 |
| | **ინგლისი — საქართველო** | პერთი | 20.00 | 17.00 |
| 14 ოქტომბერი | არგენტინა — ნამიბია | გოსფორდი | 19.30 | 14.30 |
| 15 ოქტომბერი | ფიჯი — აშშ | ბრისბენი | 17.00 | 12.00 |
| | იტალია — ტონგა | კანბერა | 19.30 | 14.30 |
| | სამოა — ურუგვაი | პერთი | 20.00 | 17.00 |
| 17 ოქტომბერი | ახალი ზელანდია — კანადა | მელბურნი | 19.30 | 14.30 |
| 18 ოქტომბერი | ავსტრალია — რუმინეთი | ბრისბენი | 16.00 | 11.00 |
| | საფრანგეთი — იაპონია | თაუნსვილი | 19.00 | 14.00 |
| | სამხრეთ აფრიკა — ინგლისი | პერთი | 20.00 | 17.00 |
| 19 ოქტომბერი | უელსი — ტონგა | კანბერა | 18.00 | 13.00 |
| | ირლანდია — ნამიბია | სიდნეი | 20.00 | 15.00 |
| | **საქართველო — სამოა** | პერთი | 20.00 | 17.00 |
| 20 ოქტომბერი | შოტლანდია — აშშ | ბრისბენი | 19.30 | 14.30 |
| 21 ოქტომბერი | იტალია — კანადა | კანბერა | 19.30 | 14.30 |
| 22 ოქტომბერი | არგენტინა — რუმინეთი | სიდნეი | 20.30 | 15.30 |
| 23 ოქტომბერი | ფიჯი — იაპონია | თაუნსვილი | 20.00 | 15.00 |
| 24 ოქტომბერი | ახალი ზელანდია — ტონგა | ბრისბენი | 17.30 | 12.30 |
| | **სამხრეთ აფრიკა — საქართველო** | სიდნეი | 20.00 | 15.00 |
| 25 ოქტომბერი | ავსტრალია — ნამიბია | ადელაიდა | 15.30 | 11.00 |
| | იტალია — უელსი | კანბერა | 18.30 | 13.30 |
| | საფრანგეთი — შოტლანდია | სიდნეი | 20.30 | 15.30 |
| 26 ოქტომბერი | არგენტინა — ირლანდია | ადელაიდა | 18.00 | 11.30 |
| | ინგლისი — სამოა | მელბურნი | 20.30 | 13.30 |
| 27 ოქტომბერი | იაპონია — აშშ | გოსფორდი | 19.30 | 12.30 |
| 28 ოქტომბერი | **საქართველო — ურუგვაი** | სიდნეი | 19.30 | 12.30 |
| 29 ოქტომბერი | კანადა — ტონგა | უოლონგონგი | 19.30 | 12.30 |
| 30 ოქტომბერი | ნამიბია — რუმინეთი | ლონცესტონი | 20.00 | 13.00 |
| 31 ოქტომბერი | საფრანგეთი — აშშ | უოლონგონგი | 19.30 | 12.30 |
| 1 ნოემბერი | შოტლანდია — ფიჯი | სიდნეი | 16.00 | 9.00 |
| | სამხრეთ აფრიკა — სამოა | ბრისბენი | 17.30 | 11.30 |
| | ავსტრალია — ირლანდია | მელბურნი | 20.35 | 13.35 |
| 2 ნოემბერი | ინგლისი — ურუგვაი | ბრისბენი | 17.30 | 11.30 |
| | ახალი ზელანდია — უელსი | სიდნეი | 20.35 | 13.35 |

# მარტინას რეკორდს ბეზელა აკლია



მარტინა ნავრატილოვას უიმბლდონი ერთეულებში ცხრაჯერ, ხოლო წყვილებში თერთმეტჯერ მოუგია

მას შემდეგ, რაც რომ წლეულს რეკორდოსანი ამერიკელი ქალმეჩოგნის, ბილი ჯინ კინგის დარად თავისი მე-20 უიმბლდონური ტიტული მოიხვეჭა, დიადი ლესბოსელი მარტინა ნავრატილოვა აცხადებს: „ახლა მხოლოდ მობეზევებალა დამრჩა".

ალბათ ჯერაც გეხსომებათ — რეკორდგამთანაბრებელი მე-20 უიმბლდონური ჯილდო 46 წლის ნავრატილოვამ ჰინდუ პარტნიორთან, ლეანდერ პაესთან ერთად შერეულ წყვილად ჩოგნაობით მოიმკა.

ეს მისი 58-ე სლემტიტული იყო. ამაზე ოთხით მეტი მხოლოდ დიადსავე ავსტრალიელს, მარგარეტ კორტს მოუნაგრავს...

„ახლა რაც უნდა მოვიგო, ჩემს სლემნამცხვარს ბეზედ დააჯდება — ამბობს ნავრატილოვა — ჰო, აქამდე ნამცხვარი უნდა მოგვემთავრებინა, ახლა კი უკვე ბეზეს დრო დადგა."

მაგრამ ექნება გაისად მას საბეზეო ილაჯი?

„ჰმ, მაკვარანცხი კითხვაა — გვპასუხობს ის — მომავალ წელს უიმბლდონზე ჩასვლა ძალიან მაცდური ამბავია, თუმცა ვერ დაგიმალავთ და გეტყვით, არჩასვლაც ძალიან მაცდური იქნება."

ანუ სხვაგვარად — ყველაფერს თავისი დრო აქვს და როცა, 47 წლამდე სადღაც ას დღემდე დარჩენია, ვირტუალურ საჩოგბურთო ბეზეზე მეტად ის ალბათ ჰალალად გაბეზებაზე უფრო ფიქრობს.

თუმცა არავის ეგონოს, თითქოს ჩოგნის გადამგდები მარტინა ხელს აღარაფერს მოკიდებს.

„ჩემს ლექსიკონში არ არსებობს სიტყვა „უსაქმურობა" — ამბობს ის — და ეს სიტყვა არც იარსებებს... ჩოგბურთის გარდა მე ძალიან მიყვარს დურგლობა და მომცრო თვითმფრინავებით ფრენა."

ის, თუ რას არჩევს საგაისოდ ყველა დროის ერთი უდიადესი ქალმეჩოგნე — ხისგან ნათალით თუ ჯერაც ჩოგნით სირბილს, ამას სეზონის მიწურულს გავიგებთ.

ოღონდ:

უიმბლდონის ცხრაგზის კენტად მომგებს არა და არ ასვენებს ის, რომ მრავალი მილიონი ადამიანისთვის კვლავაც შემგულიანებლადა და მამოტივირებელ პიროვნებად რჩება.

ამიტომ, უფრო სავარაუდოა, რომ გაისად მის მიერ ნამცხვარზე შემოდებულ ბეზეს მაინც ვიხილავთ.



# ანას უკნიდან უჭირს

რუს სექსმეჩოგნე ანა კურნიკოვას ზურგის პრობლემები აწუხებს. ისე აწუხებს, რომ ამის გამო სულ მცირე გვიანსექტემბრამდე კორტზე ვერ გამოჩნდება.

როგორც მისმა აგენტმა ფილ დეპიჩოტომ განმარტა, სექსანა არც უახლოესი კვირებისას პალო ალტოსა და სან დიეგოში გასამართ სახელიან ტურნირებზე გამოვა, არც აგვისტოში ტორონტოში ჩასათამაშებელ ტურნირზე და საერთოდ — მას აშშ-ის ღია პირველობაზეც ვერ ვიხილავთ, ეს პირველობა კი — ეგებ თქვენც იცოდეთ — 25 აგვისტოს უნდა დაიწყოს.

მოგაგონებთ, რომ თავისი გადრეკილი ზურგი 22 წლის ქერა რუსგოგომ წლეულს ავსტრალიის ღია პირველობაზე დაიშავა, მას შემდეგ ჩოგანი მხოლოდ აქა-იქ გაიქნია და ბოლოჯერ სადღაც შუამაისში, შარლოტსვილის ჩელენჯერტურნირზე გამოჩნდა.

# ბაქი-ბუქი ჰიუიტის გამო

19-დან 21 სექტემბრამდე მელბურნული კორტები ავსტრალიელებსა და შვეიცარიელებს შორის გასამართ დევისშეხლებს უმასპინძლებენ.

ავსტრალიელთა კაპიტანი ჯონ ფიცჯერალდი ამბობს, რომ საიმმატჩებოდ ოზთა კისკასი ყოჩი, ამქრის ყოფილი პირველოსანი ლეიტონ ჰიუიტი თავის საზეო ფორმას დაიბრუნებს.

„დიახ, იმ დროისთვის ლეიტონი კვლავ ზენიტში იქნება — ფიქრობს ფიცჯერალდი — უიმბლდონის პირველსავე წრეში მისმა ჩაფლავებამ არავინ შეაცდინოს... 208 სანტიმეტრი სიმაღლისა და თან მაინცდამაინც იმ დღეს ფანტასტიკურად მომწოდებელ ახმახს (ლაპარაკია ხორვატ ივო კარლოვიჩზე) ალბათ ვერავინ მოერეოდა."

„თან ისიც გაითვალისწინეთ, რომ იმ დღეს ლონდონური კოინდარი ჯერ სულაც ბურთუხლები იყო. ლეიტონს ის მატჩი რომ მოეგო, მერე სულ სხვანაირად ითამაშებდა, რადგანაც ამ საქმის კეთება ჯერაც სხვებზე უკეთესად შეუძლია."

თავისი ჯილის ამგვარი ქლალი განდიდების მიუხედავად მისტერ ფიცჯერალდი არ ჰკარგავს რეალობის შეგრძნებას და თვლის, რომ ჰიუიტისთვის წლეულს უიმბლდონური ტიტულის ჩამომრთმევი როჯერ ფედერერი ავსტრალიელებს სექტემბერში სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

„ახლა, როცა მან თავისი სლემ ჯებირი გაარღვია, მისი შეჩერება ძალიან გაძნელდება — ამბობს იგი — მაგრამ მე ვიმედოვნებ, რომ იმ დროისთვის ჩვენი ბიჭები საუკეთესო ფორმას მოიძევენ, როჯერი კი — ვერა."

ჩვენ მხოლოდ იმას შევახსენებთ, რომ საიმდევისო ამბებამდე ჰიუიტსაც და ფედერერსაც რამდენიმე სერიოზულ ტურნირზე ჩოგნაობა მოუწევთ, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ზედ დევისნახევარფინალამდე გასასრულებელი აშშ-ის ღია პირველობა იქნება.



**ლევან ძელაურაძე**





კერტის ჯოზეფი

# ჭკვიანი კაცია ლუ

## მომეცი, მომეცი... რატომ უნდა იქცეოდეს ჰოკეისტი ფუქსავატი ცოლივით

*„მირჩევნია, სამი სამმილიონიანი მოთამაშე მყავდეს, ვიდრე ერთი 10-მილიონიანი" – თქვა ერთხელ ნიუ ჯერსის გენერალურმა მენეჯერმა ლუ ლამორელომ და ეს ფრაზა ამ ზაფხულს ყველამ ილო ყურად*

სტენლის თასის გათამაშებაში ნიუჯერსელთა წლევანდელმა ტრიუმფმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ წარმატებისთვის სულაც არაა აუცილებელი, ძვირადღირებული ვარსკვლავები გყავდეს. ეს ახლა ლიგის ყველა გუნდის ბოსმა შეიგნო და ჭირვეულ ელიტასაც მადა ოდნავ დაუოკდა. მაღალხელფასიანი ჰოკეისტები მიხვდნენ, რომ რაც უნახავთ, ველარ ნახავენ, ხოლო ვინც ეს ვერ შეიგნო, შესაძლოა, ძალიან ინანოს. ამგვარი რამ ადრე არ მომხდარაო, ამასაც ვერ ვიტყვით. თუნდაც კერტის ჯოზეფისა და დუგ უეიტის ედმონტონიდან წასვლა გავიხსენოთ, როცა გუნდის ბიუჯეტი ჰოკეისტების მოთხოვნილებას ვერ აუვიდა, თუმც აქამდე ეს მხოლოდ ღარიბი გუნდების ხვედრი იყო. ახლა კი... 2004 წლის ლოკაუტის საშიშროებამ ბოსები ისე შეაშინა, ყოველ ცენტს ზოგავენ.

პოლ კარიამ და ტეემუ სელიანემ პირველებმა აუღეს ალღო თამაშის ახალ წესებს და უფრო დაბალ ხელფასსაც იმიტომ დაჰყაბულდნენ. ეკონომია ამიერიდან ყველას შეეხება. სანდო წყაროების ცნობით, მზადდება ბოსტონელ მცველ დონ სუინის ტრეიდი დალასში და 15 წლის განმავლობაში „დათვებში" მოთამაშე ვეტერანი 1,8 მილიონის მაგივრად 550 000 მიიღებს. თუმც არც ეს და არც სხვა სავარაუდო ტრეიდები ჯერ არ განხორციელებულა. ერთი კვირაა, ლიგაში არაფერი გადაწყვეტილა, მითქმა-მოთქმა და ჭორები კი იცოცხლეთ, მრავლადაა.

...დეტროიტის გენერალურმა მენეჯერმა კენ ჰოლანდმა ძილი დაკარგა. მას შემდეგ, რაც მისი კლუბის მთავარი მტერი, კოლორადო, კარიამ და სელიანემ გააძლიერეს, „წითელფრთიანთა" ბოსი სულ იმის ფიქრშია, რა ილონოს, რა საპასუხო ნაბიჯი გადადგას. ამიტომაც დეტროიტის ირგვლივ დიდი მითქმა-მოთქმაა, მით უმეტეს, რომ ჰოლანდმა ორი ძვირადღირებული მოთამაშე უნდა გაასაღოს — კერტის ჯოზეფი და სერგეი ფიოდოროვი. ამბობენ, რომ მეკარით სენტ ლუისია დაინტერესებული, თან ძალიან სერიოზულად. „ბლუზმენები" თურმე სატყუარად წამყვან ფორვარდ დუგ უეიტს იყენებენ. როგორც ხედავთ, ოდესღაც თანაკლუბელებს ახლა ერთმანეთზე ცვლიან. რაც შეეხება ფიოდოროვს, მის მყიდველთა სიაში კვლავაც ანაჰაიმი და ლოს ანჯელესი ლიდერობენ, თუმც მასზე სენტ ლუისსა და კაროლინასაც უჭირავთ თვალი. ცხადია, ფიოდოროვს შემცვლელი სჭირდება და ამ ვაკანსიას დეტროიტში სავარაუდოდ ერიკ ლინდროსი და ჯო ნუინდაიკი შეავსებენ. თავის მხრივ, ფილადელფიასაცაა ექსრეინჯერ ლიჩთან გააფორმებს კონტრაქტს. ნიშანდობლივია, რომ ლიჩს ფილადელფიის ბოსი ბობი კლარკი ორწლიან და 12-მილიონიან ხელშეკრულებას სთავაზობს (შარშან მცველი 8,5 მილიონს იღებდა). თანაც ვეტერანის შესაძენად თანხა რომ გამოძებნოს, ერთ-ერთ ლიდერს ხელფასი უნდა შეუმციროს (ან გადაუვადოს). ჰაიგიდი, რა დრო დადგა, კლარკი, ლიგის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გენერალური მენეჯერი, ადრე რამდენიმე ძვირადღირებულ ჰოკეისტს ერთად ყიდულობდა.

მოკლედ, ჭორები, ჭორები, ჭორები... ერთიმეორეზე დამაინტრიგებელი, მაგრამ ბოლოს რა იქნება, ღმერთმა უწყის. ამასობაში კი ერთი ჭორი არ გამართლდა. პატრიკ რუამ ოფიციალურად განაცხადა, რომ კოლორადოში არ დაბრუნდება. „წმინდა პატრიკს" ეგებ ძალიანაც უნდა ყვანჯის ხელში აღება და თავზე ნიღბის ჩამოცმა, მაგრამ... წესია ლიგაში ასეთი, დაბრუნებისთვის ყველა კლუბის წერილობითი თანხმობა უნდა მიიღოს. ჰოდა, როგორ ფიქრობთ, დეტროიტის მესვეურები გასცემენ ასეთ თანხმობას?

**სამველ ღარიბიანი**

## ტურ დე ფრანსი 2003

# ლიდერებმა არიფებს ეტაპი აჩუქეს

შეთანხმებულები იყვნენ თუ რა იყო, წლევანდელი ტურ დე ფრანსის არც ერთ ლიდერს მეათე ეტაპზე ფეხი არ გაუნძრევია. არა, როგორ არ გაანძრიეს, გაპიდან მარსელში, ცხადია, ვერ ჩაფრინდებოდნენ. ლენს არმსტრონგმაც, ალექსანდრ ვინოკუროვმაც და იბან მაიომაც პროვანსის მთებში ისე გაიარეს 220 კილომეტრი, როგორც დანარჩენმა 200-იოდ მრბოლმა. მაგრამ საერთო ჩათვლის მოწინავე სამეულს და მათ ახლო მდევრებს მთელი ეტაპის განმავლობაში არ გაუმჟღავნებიათ საერთო მასის მოწყვეტის და წინ გაჭრის სერიოზული სურვილი, მშვიდად ატრიალებდნენ პედლებს და მარსელშიც არაფრით გამორჩეულ ათობით მრბოლთან ერთად ჩავიდნენ, თანაც მთელი 21 წუთით ჩამორჩნენ ეტაპის მომგებს.



იაკობ პიილმა ტურზე თავისი პირველი ეტაპი მოიგო

საერთო ჩათვლის ლიდერი ლენს არმსტრონგი, მაგალითად, მხოლოდ 45-ე იყო. მაგრამ ტურის ოთხგზის მომგებ ამერიკელს ხახვივით შერჩა „ზარმაცობა", რაკი მისმა უახლოესმა მდევრებმაც მასავით დაიზარეს მუშაობა. ჩანს, ალპების უღელტეხილების გადმოვლის შემდეგ ლიდერებმა დასვენება ინებეს. თანაც აგრესიული ხოსება ბელოკის დამტვრევის და ტურიდან გამოთიშვის შემდეგ ბობოლების პროვოცირება და შეტევა არც ერთ მოწინავეს არ უცდია.

უძალლო ქვეყანაში კატები ყეფენო და ლიდერთა უქმობაში მეათე ეტაპი საშუალო კლასს დარჩა. ეტაპი მოიგო მავანმა დანიელმა იაკობ პიილმა, CSC-ის გუნდიდან. პიილმა 220, უფრო ზუსტად 219,5 კილომეტრი ხუთ საათში, 9 წუთსა და 39 წამში დაფარა და მხოლოდ ველოს სიგრძით გაუსწრო იტალიელ ფაბიო საკის.

პიილი და კიდევ რვა მრბოლი დისტანციის დაახლოებით შუაში მოსწყდა პელოტონს. ამ ცხრა მრბოლიდან არც ერთი შედის საერთო ჩათვლის მოწინავე ათეულში, ყველანი ერთი ეტაპის მრბოლები არიან და ტურის ბოლომდე იქნებ არც მოხვდნენ ყურადღების არეში, უბრალოდ, ერთი დღე თავს ძალა დაატანეს, ძირითად მასას გაუსწრეს. მათგან ყველაზე მეტი გამძლეობა პიილს, საკის და აგრეთვე ჰოლანდიელ ბრამ დე გროოტს აღმოაჩნდათ. ბოლო კილომეტრებზე ეს უკანასკნელიც დაიქანცა და დანიელმა და იტალიემა ჯერ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, მერე კი მარსელის ქუჩებში სპრინტი გააჩაღეს, რომელშიც, როგორც გითხარით, პიილმა სულ ოდნავ აჯობა საკის.

„ერთმანეთს ხელი რომ ჩამოვართვით, საკიმ რაღაც მითხრა, მაგრამ იტალიური არ ვიცი და ვერ გავიგე. მე მგონი, მან მადლობა გადამიხადა ვაჟკაცური რბოლისთვის და თქვა, დაე, ჩვენს შორის მჯობნმა მოიგოსო, ან რაღაც ამის მსგავსი" — ამბობდა ნარბოლევს პიილი. 30 წლის დანიელმა ცხოვრებაში პირველად მოიგო ტურ დე ფრანსის ეტაპი.

„რბოლამდე არც ვფიქრობდი გამარჯვებაზე, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ ბოლო კილომეტრები მოწინავეებში აღმოვჩნდი და მაშინ გადავწყვიტე, ბედი მეცადა. ადრე როცა ტრეკზე დავრბოდი, რიგიან სპრინტერად ვითვლებოდი. ახლაც კარგი საწყისი სიჩქარე მაქვს და ძლიერ სპრინტერებთან გაჯიბრებაც შემიძლია" — ამბობდა ნამატჩევს გამარჯვებული.

პიილს ცხოვრებაში ორჯერ ჰქონდა ტურ დე ფრანსის ეტაპის მოგების შანსი, ორი წლის წინ მონლუკონში ის მეორე იყო, შარშან კი ბურგ ან ბრესში რამდენიმე მრბოლიან ჯგუფში სპრინტში პირველი მიჰქროდა, მაგრამ ფინიშის ხაზთან რამდენიმე ათეულ მეტრში გიჟივით აძიგძიგებულს პედლიდან ფეხი აუსხლტა და სხვებმა ჩაუქროლეს.

„მე შემიძლია ერთი ეტაპის მოგება, სწორედ ამიტომაც ამიყვანა თავის გუნდში ბიარნე რიისმა" — ამბობდა პიილი. აგრეთვე დანიელი რიისი 1996 წლის ტურ დე ფრანსის ჩემპიონია. კარიერის დასრულების შემდეგ იგი შორს არ წასულა და ველოგუნდ CSC-ის სპორტული დირექტორი გახდა.

სხვათა შორის, პიილი რიისის შემდეგ პირველ დანიელია, ვინაც ტურის ეტაპი მოიგო.

**ქოტე ყორშია**



REUTERS

ნაავარიალი ხოსება ბელოკი

| X ეტაპი. 15 ივლისი |
|---|
| **გაპი — მარსელი 219,5 კმ** |
| 1 იაკობ პიილი (დანია, Team CSC) 5 სთ 9 წთ 39 წმ |
| 2 ფაბიო საკი (იტალია, საეკო) იგივე დრო |
| 3 ბრამ დე გროოტი (ჰოლანდია, რაბობანკი) + 49 წმ |
| 4 დამიენ ნაზონი (საფრანგეთი, ბრიოში) + 2 წთ 7 წმ |
| 5 რენე ჰასელბაჰერი (ავსტრია, გეროლშტეინერი) იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** |
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) 45 სთ 46 წთ 22 წმ |
| 2 ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტელეკომი) + 21 წმ |
| 3 იბან მაიო (ესპანეთი, ეუსკატელი) +1 წთ 2 წმ |
| 4 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, iBanesto.com) +1 წთ 37 წმ |
| 5 ტაილერ ჰამილტონი (აშშ, Team CSC) +1 წთ 52 წმ |


საქართველოს რაგბის კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მორაგბე

ოლეგ ლიპარტელიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს



22 ივლისს, 12 საათზე,
შინაგან საქმეთა სამინისტროს
სხდომათა დარბაზში ჩატარდება
ფიზკულტურულ-სპორტულ
კლუბ „დინამოს" წევრთა საერთო კრება.
დასწრება სავალდებულოა.
ფ.ს.კ. „დინამოს" გამგეობა




*რალფ შუმახერი მოსკოვში ჩავიდა, პრესკონფერენცია გამართა და კარგა ხანს ილაპარაკა, რუსეთში ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარების აუცილებლობაზე: ამხელა ქვეყანაში რბოლა როგორ არ უნდა იმართებოდეს, ფინანსურადაც დიდად მომგებიანი იქნება და ჩვენ, პილოტებიც დიდი სიამოვნებით ვიჯირითებთო.*

# შუმახერის სიტყვაც ფული ღირს

ცხადია, ისეთი გულუბრყვილოები ვერ ვიქნებით, რომ ვირწმუნოთ, უმცროსი შუმახერი უანგარო სურვილმა ჩაიყვანა მოსკოვში და ალაპარაკა — რა საკვირველია, მას კარგად გადაუხადეს.



ბერნი ეკლსტოუნი

პრომოუშენში ფულის აღება ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ გაკვირვებას სხვა რამ იწვევს: შარშან თვით ბერნი ეკლსტოუნი ჩავიდა მოსკოვში, სულ რამდენიმე საათით, ხელი უნდა მოეწერა კონტრაქტისთვის, რომლის თანახმადაც 2004 წლიდან ფორმულას ეტაპისთვის მოსკოვსაც უნდა ემასპინძლა და რა — ფორმულა I-ის მამას გამზადებულ-შეთანხმებული კონტრაქტის გაფორმებაზე მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა უარი უთხრა. ეკლსტოუნი, რომლის თითოეული საათი უზარმაზარი ფული ღირს, მოსკოვში სულელად გამოიყვანეს. ახლა კი რუსები თავიდან ითხოვენ ფორმულაში რუსეთის დიდი პრიზის დამატებას.

შუმახერის პრესკონფერენციის მერე ეკლსტოუნმა, შარშანდელი წყენა ჯერაც რომ არ განელებია, ცალყბად, მაგრამ ეთიკეთის დაცვით თქვა, ვნახოთ, ალბათ ოდესმე რუსეთიც უმასპინძლებს საფორმულე რბოლასო.

სამაგიეროდ, იმავ ეკლსტოუნმა ინდოელებს შეუთვალა, ცოტაც მაცალეთ და თქვენთანაც გავათამაშებთ გრან-პრისო.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ მომდევნო წლიდან ფორმულა 1-ს ორი ახალი ეტაპი დაემატება, ჩინეთისა და ბაჰრეინის დიდი პრიზები.

2005 წლიდან ეტაპს თურქეთიც უმასპინძლებს და არგენტინის გრან-პრის აღდგენაც არის დაგეგმილი, რომელიც 1998 წელს გაუქმდა.

**ქოტე ქექელია**



# კეტი ფრიმენი ოქროში დაიხრჩო

ზუსტად ვერ გეტყვით, ავსტრალიის მორბენალთა ნაკრების მწვრთნელის კეიტ კონორსს თავზარი დაეცა თუ მშვიდად შეხვდა ამ ამბავს. ერთი ეგ თქვა, იმედგაცრუებული ვარო და ვინ იცის, რა იგულისხმა. თავად ამბავი კი ესაა: ლონდონში შეკრებაზე მყოფ კონორსთან კეტი ფრიმენი მისულა და უთქვამს, სპორტს თავს ვანებებო. ჩვენამდე კი ეს ცნობა მელბურნულმა გაზეთმა „ეიჯმა" მოიტანა.



კეტი ფრიმენი წავიდა

კეტი ფრიმენი ის ქალია, რომლის სპორტიდან წასვლაც თითქმის ყველა ავსტრალიელმა გაზეთმა დღის მთავარ თემად ჩათვალა.

გავიხსენოთ: ფრიმენი პირველი აბორიგენი გოგო იყო, ვინაც ოლიმპიადაზე გამოვიდა. ეს 11 წლის წინ, ბარსელონაში მოხდა, როცა ის 19 წლისა იყო. წვრილ-წვრილი გამარჯვებები რა სახსენებელია და ფრიმენი ორჯერ, 1997 და 99 წლებში თავის დისციპლინაში მსოფლიოში უსწრაფესად მორბენალი ქალი შეიქნა, პიკს კი სიდნეის ოლიმპიადაზე უწია, სადაც 400 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა — პირველი აბორიგენი ოლიმპიური ჩემპიონი. ხოლო მისი ჩემპიონობით გაგიჟებული 112 ათასი მაყურებლის ყიჟინამდე რამდენიმე დღით ადრე, იმავ ოლიმპიურ სტადიონზე მასვე ერგო ცეცხლის დანთების პატივი და თუ გახსოვთ, ულამაზესი სანახაობაც იყო.

და ეგებ პარადოქსულადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ თუ დავუფიქრდებით, ეგრეა — კეტი ფრიმენის სპორტიდან წასვლა სწორედ მის სიდნეურ ტრიუმფს უკავშირდება — „იმ ოლიმპიადიდან სამი წელი გავიდა და მაინც გუშინდელი დღესავით მახსოვს ის აბსოლუტური ბედნიერების წუთები. მაგრამ იმასაც ვხვდები, რომ ის დრო აღარასდროს განმეორდება, ამიტომაც ბრძოლამ ჩემთვის აზრი დაკარგა — განმარტა ფრიმენმა — სიდნეის მერე სამი წელია დავრბივარ. თავისთავად, სირბილი მომწონს, მაგრამ ვატყობ, რომ გამარჯვებისკენ სწრაფვა დავკარგე. გამარჯვებას ჩვეულებრივად აღვიქვამ, დამარცხება კი გულს არ მტკენს. ამასთანავე უკვე განცდილი მაქვს, რას ნიშნავს, იყო მსოფლიოში საუკეთესო და მიზანი აღარ მაქვს. ეს კი ნიშნავს, რომ წასვლის დროა. ალბათ, ეს ადრეც უნდა გამეკეთებინა."

ისე, აბორიგენი უძახე და, კარგი შესახედავი გოგოა.

**თეიმურაზ უზაქოვი**



REUTERS ბარსელონიდან

# ვერ მოთოკეს

კალგარიში გრძელდება დიდი კოვბოური ფესტივალი სტემპედი. ბერის გვარის მთელი კოვბოური ოჯახი, მამა ირვინი (მარჯვნივ) და მისი ვაჟები ჯიმი და ჯასტინი ცდილობდნენ ამ უხედნავი წაბლასთვის უნაგირი დაედგათ და მერე ჯასტინს (წაქცეული) ეჭენებინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა და ოჯახობამ ქულები ვერ ჩაიწერა.



REUTERS კალგარიდან

# ინო და უფლისწული



REUTERS გაპიდან

ტურ დე ფრანსს კვლავ ამერიკელი ლენს არმსტრონგი ლიდერობს, რომელიც თავის ტურული მიღწევებით ლამისაა გაუტოლდეს წარსულის დიდთ, რომელთაგან ერთ-ერთი, ამ რბოლის ხუთგზის მომგები ბერნარ ინო (მარცხნივ) მონაკოს პრინც ალბერს ეოხუნჯება გაპის ერთ-ერთ კაფეტერიაში, სადაც ტურის მეცხრე დღის გალევას ელიან.

# ისკუპა

ასე ხარობს გერმანელ წყალში მხტომელთა მწვრთნელი კარლ ჰაინც რანიხი, მას შემდეგ, რაც ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მისი აღსაზრდელი შმალფუსი მეორე ადგილზე გავიდა ბარსელონაში მიმდინარე წყალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე. ამ სახეობის ჩემპიონი ავსტრალიელი ირინა ლაშკო გახდა, ბრინჯაო კი კანადელმა ბლაით ჰარტლიმ მოიგო. რანიხი, ცხადია, დასველდა.

# ნიუ ორლეანის მინდორზე

ბრაზილიელ გოგონებს, რენატასა (მარცხნივ) და მეისონს შუა მოუქცევიათ ამერიკელი ალი ვაგნერი. ნიუ ორლეანის „ტედ გორმლის“ სტადიონზე ერთმანეთს ამხანაგურად შეხვდნენ ამერიკისა და ბრაზილიის ფეხბურთელ ქალთა ნაკრებები. საბოლოოდ მაინც მასპინძლებმა მოიგეს ტეფანი მილბრეტის გვიანი გოლით. ცნობილია, რომ ქალთა ფეხბურთში ამერიკელები ბრაზილიელობას გასწევენ.



REUTERS მანაგუადან



REUTERS ნიუ ორლეანიდან

# ნიკარაგუელი

აქამდე მიზანში სროლა ნიკარაგუაში სანდინოს ფრონტის პარტიზანებს თუ ეხერხებოდათ, ახლა კი ნიკარაგუელად გადანათლულა უკრაინელი სვეტლანა კაშჩენკო, 3X20-ზე კატეგორიის ერთ-ერთი ფავორიტი და პანამერიკულ თამაშებსა და მომავალ ოლიმპიადაზეც ამ ქვეყნის სახელით გამოვა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge